

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი სამოქალაქო საქმეებზე

2013, №3

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებები

საძიებელი

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების
საქართველოს ტერიტორიაზე
ცნობა და აღსრულება

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანკინება

№ა-2723-შ-74-10

31 იანვარი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბ-ს“ დაეკისრა ღია სააქციო საზოგადოება „ბელორუსული უნივერსალური სავაჭრო ბირჟის“ სასარგებლოდ ძირითადი ვალის – 848 აშშ დოლარის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის – 119 059 ბელორუსული რუბლის გადახდა, რაც შეადგენს 39 აშშ დოლარსა და 82 ცენტს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ღია სააქციო საზოგადოება „ბელორუსული უნივერსალური სავაჭრო ბირჟამ“, რომელმაც მოპასუხისათვის თანხის დაკისრების ნაწილში გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 15 აპრილს, ამავე გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მხარეები სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ, ამასთან, მოსარჩელე მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში, ხოლო მოპასუხე არ გამოცხადდა პროცესზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ღია სააქციო საზოგადოება „ბელორუსული უნივერსალური სავაჭრო ბირჟის“ შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბ-ს“ დაეკისრა ღია სააქციო საზოგადოება „ბელორუსული უნივერსალური სავაჭრო ბირჟის“ სასარგებლოდ, ძირითადი ვალის – 848 აშშ დოლარის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის – 119 059 ბელორუსული რუბლის გადახდა, რაც შეადგენს 39 აშშ დოლარსა და 82 ცენტს. საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ღია სააქციო საზოგადოება „ბელორუსულმა უნივერსალურმა სავაჭრო ბირჟამ“ და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 15 აპრილს, ამავე გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ მხარეები სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ, ამასთან, მოსარჩელე მონაწილეობას იღებდა საქმის განხილვაში, ხოლო მოპასუხე არ გამოცხადდა პროცესზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

ღია სააქციო საზოგადოება „ბელორუსული უნივერსალური სავაჭრო ბირჟის“ შუამდგომლობა ბელორუსიის რესპუბლიკის ქ. მინსკის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელორუსის რესპუბლიკის ქ. მინსკის სამეურნეო სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება თანხის – ძირითადი ვალის – 848 აშშ დოლარის, აგრეთვე, სახელმწიფო ბაჟის – 119059 ბელორუსული რუბლის, რაც შეადგენს 39 აშშ დოლარსა და 82 ცენტს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბ-სათვის“ დაკისრების შესახებ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-3216-შ-52-2011

12 მარტი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავიძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ა-ს №2 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენით ლ. წ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნული განაჩენით ა. ფ-ას სამოქალაქო სარჩელის განხილვის შედეგად დაადგინა, რომ ლ. წ-ას ა. ფ-ას სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 209928 ტენგეს გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. ფ-მა და მოითხოვა საქართველოს ტერიტორიაზე განაჩენის იმ ნაწილში ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა, რომლითაც ლ. წ-ას მის სასარგებლოდ დაეკისრა 209 928 ტენგეს გადახდა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ცნობით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 14 ივლისს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება ყაზახეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 8 დეკემბრის განჩინებით ა. ფ-ის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ა-ს №2 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენის (საქმე №1-116/10, დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებლად ლ. წ-ასათვის ა. ფ-ის სასარგებლოდ 209 928 ტენგეს დაკისრების ნაწილში) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ა. ფ-ის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ა-ს №2 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ა-ს №2 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენით ლ. წ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ ყაზახეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნული განაჩენით ა. ფ-ას სამოქალაქო სარჩელის განხილვის შედეგად დაადგინა, რომ ლ. წ-ას ა. ფ-ას სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 209928 ტენგეს გადახდა.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ განაჩენი, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 14 ივლისს, მონინააღმდეგე მხარე – ლ. წ-ა ინფორმირებული იყო სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანო-

ნიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ა-ს №2 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

ა. ფ-ის შუამდგომლობა ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ა-ს №2 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ყაზახეთის რესპუბლიკის ქ.ა-ს №2 სასამართლოს 2010 წლის 5 მაისის განაჩენი თანხის დაკისრების ნაწილში, რომლითაც ლ. წ-ას დაეკისრა ა. ფ-ის სასარგებლოდ დანაშაულით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად 209928 ტენგეს გადახდა.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2393-შ-53-2012

6 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით 2007 წლის 20 მარტს მიუნხენის სახელმწიფო სამსახურის მიერ მ. შ-სა და მ. კ-ის შორის რეგისტრირებული ქორწინება (№458/2007) გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 14 იანვარს.

მ. შ-ს წარმომადგენელმა მ. ჭ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის მიუნხენის ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 15 ივნისის განჩინებით მ. შ-ს წარმომადგენელ მ. ჭ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 28 ივნისს მ. შ-ს წარმომადგენელმა მ. ჭ-მ წარმოადგინა მ. კ-ის თანხმობა იმის თაობაზე, რომ გერმანიის მიუნხენის ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მადინა შონიას წარმომადგენელ მ. ჭ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის მიუნხენის ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით 2007 წლის 20 მარტს მიუნხენის სახელმწიფო სამსახურის მიერ მ. შ-სა და მ. კ-ის შორის რეგისტრირებული ქორწინება (№458/2007) გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 14 იანვარს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანი-

ის მიუხედავად ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ზ ი ნ ა:

1. მ. შ-ს წარმომადგენელ მ. ჭ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუხედავად ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის მიუხედავად ადმინისტრაციული სასამართლოს 2011 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც 2007 წლის 20 მარტს მიუხედავად სახელმწიფო სამსახურის მიერ მ. შ-სა და მ. კ-ის შორის რეგისტრირებული ქორწინება (№458/2007) გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№-ა-4368-შ-72-2011

11 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

განიხილა შპს „ს.-ს. კ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ, შპს „ს.-ს. კ-ის“ სარჩელის გამო, მოპასუხე შპს „გ.+1-ის“ მიმართ საარბიტრაჟო ხარჯებისა და 199492.74 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებულ საერთაშორისო კომერციულ საარბიტრაჟო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ს.-ს. კ-მ“ შპს „გ.+1-ის“ მიმართ საარბიტრაჟო ხარჯებისა და 199492.74 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „გ.+1-ს“ დაევალია გადაუხადოს შპს „ს.-ს. კ-ს“ ძირითადი ვალი 199492.74 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო ხარჯები 9184.78 აშშ დოლარის ოდენობით, სულ 208 677.52 აშშ დოლარი და 52 ცენტი.

შპს „ს.-ს. კ-მ“ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 დეკემბრის განჩინებით შპს „ს.-ს. კ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ წარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს „ს.-ს. კ-ის“ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „გ.+1-ს“ დაევალია გადაუხადოს შპს „ს.-ს. კ-ს“ ძირითადი ვალი 199492.74 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო ხარჯები 9184.78 აშშ დოლარის ოდენობით, სულ 208 677.52 აშშ დოლარი და 52 ცენტი.

აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და არ აღსრულებულა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ს.-ს. კ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.
2. ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილებით შპს „გ.+ს“ დაევალა გადაუხადოს შპს „ს.-ს. კ-ს“ ძირითადი ვალი 199492.74 აშშ დოლარის, საარბიტრაჟო ხარჯები 9184.78 აშშ დოლარის ოდენობით, სულ 208 677.52 აშშ დოლარი და 52 ცენტი.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1475-შ-31-2012 18 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

განიხილა ა. ბ-ის შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხი საფრანგეთის ბლუას მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ გვარის შეცვლის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:
საფრანგეთის ბლუას მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განაჩენით ა. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ე. ი-ის და ლ. ი-ის გვარის შეცვლასთან დაკავშირებით მისი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის შენიშვნებში შეტანილ იქნა ცვლილება და გვარის გრაფაში მიეთითა გვარი ბ-ი, სხვა აღნიშვნები კი უცვლელად იქნა დატოვებული.
ა. ბ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საფრანგეთის ბლუას მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 აპრილის განჩინებით ა. ბ-ის შუამდგომლობა საფრანგეთის ბლუას მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:
პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ა. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:
დადგენილია, რომ საფრანგეთის ბლუას მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განაჩენით ა. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ე. ი-ის და ლ. ი-ის გვარის შეცვლასთან დაკავშირებით მისი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის შენიშვნებში შეტანილ იქნა ცვლილება და გვარის გრაფაში მიეთითა გვარი ბ-ი, სხვა აღნიშვნები კი უცვლელად იქნა დატოვებული.
საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ცნოს საფრანგეთის ბლუას მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განაჩენი.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 69-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

ა. ბ-ის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს:

ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე საფრანგეთის ბლუას მაღალი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 30 აგვისტოს განაჩენი, რომლითაც ა. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ე. ი-ის და ლ. ი-ის გვარის შეცვლასთან დაკავშირებით მისი მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტის შენიშვნებში შეტანილ იქნა ცვლილება და გვარის გრაფაში მიეთითა გვარი ბ-ი, სხვა აღნიშვნები კი უცვლელად იქნა დატოვებული. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1777-შ-35-2012

25 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეძე,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით ი. თ-სა და ვ. ფ-ს შორის ფიურსტენვალდე/შპრეეს მმარის ბიუროში 2004 წლის 19 მარტს რეგისტრირებული №15/2004 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

ი. თ-ის წარმომადგენელმა მ. პ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინებით ი. თ-ის წარმომადგენელ მ. პ-ის შუამდგომლობა ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. თ-ის წარმომადგენელ მ. პ-ის შუამდგომლობა ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით (№10 F 177/10(E)) ი. თ-სა და ვ. ფ-ს შორის ფიურსტენვალდე/შპრეეს მმარის ბიუროში 2004 წლის 19 მარტს რეგისტრირებული №15/2004 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 20 ივლისს, ასევე დასტურდება, რომ მოცემული გადაწყვეტილება აღსრულებულია. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

მონინალმდევე მხარე ვ. ფ-მა განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ მას პრეტენზიები არ გააჩნდა ი. თ-ის მიერ საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარდგენილ შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (№10 F 177/10(E)) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ი. თ-ის წარმომადგენელ მ. პ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილების (№10 F 177/10(E)) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფიურსტენვალდეს ადგილობრივი სასამართლოს 2011 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება (№10 F 177/10(E)) რომლითაც ი. თ-სა და ვ. ფ-ს შორის ფიურსტენვალდე/შპრეეს მმარჩის ბიუროში 2004 წლის 19 მარტს რეგისტრირებული №15/2004 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2148-შ-46-2012

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ბ. ალავეიძე,
პ. ქათამაძე

გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს – აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება

აღწერილობითი ნაწილი:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (№ 2(81)-694/2010) მოპასუხე ფ. გ-ს დაეკისრა 4053 აზ. მანათი ძირითადი ვალის, 4053 მანათი დანამატი თანხის, 20 მანათი სახელმწიფო გადასახადის, სულ 8126 მანათის გადარიცხვა მოსარჩელე შპს „V.“-ის სასარგებლოდ.

შპს „V.“-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (№ 2(81)-694/2010) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივნისის განჩინებით შპს „V.“-ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (№ 2(81)-694/2010) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს „V.“ -ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (№ 2(81)-694/2010) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით (№ 2(81)-694/2010) მოპასუხე ფ. გ-ს დაეკისრა 4053 აზ. მანათი ძირითადი ვალის, 4053 მანათი დანამატი თანხის, 20 მანათი სახელმწიფო გადასახადის, სულ 8126 მანათის გადარიცხვა მოსარჩელე შპს „V.“-ის სასარგებლოდ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 21 იანვარს, ხოლო მოპასუხე ფ. გ-ს შესაბამისად ეცნობა სასამართლო განხილვის დღის შესახებ. ასევე დასტურდება, რომ მოცემული დაუსწრებელი გადაწყვეტილება აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებ-

ლი გადაწყვეტილება (№ 2(81)-694/2010) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ზ ი ნ ა:

შპს „V.“-ის შუამდგომლობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების (№ 2(81)-694/2010) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქ. ბაქოს №1 ადგილობრივი ეკონომიკური სასამართლოს 2010 წლის 10 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება (№ 2(81)-694/2010), რომლითაც მოპასუხე ფ. გ-ს დაეკისრა 4053 აზნ მანათი ძირითადი ვალის, 4053 მანათი დანამატი თანხის, 20 მანათი სახელმწიფო გადასახადის, სულ 8126 მანათის გადარიცხვა მოსარჩელე შპს „V.“-ის სასარგებლოდ.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანკინება

№ა-492-შ-11-2012

6 ივლისი, 2012 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ს“ დაუნესდა იძულებითი გადახდის წესი, იძულებითი გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში, ვ. ლ-ს დაეკისრა სოლიდარულად გადასახადი სს „პ-ის“ სასარგებლოდ:

1. გაცემული და გადაუხდელი კრედიტის ძირითადი თანხის – 525000,00 ზუთას ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ანუ LVL 258300,00 ლატის გადახდა;

2. გამოანგარიშებული და გადაუხდელი პროცენტები კრედიტით სარგებლობისას 82669,82 (ოთხმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და 82 ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

3. პირგასამტეხლოს, კრედიტის ძირითადი თანხის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 186375,00 (ას ოთმოცდაეექვსი ათას სამას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარისა და 00 ცენტის) ანუ LVL 91696,50 ლატის გადახდა;

4. პირგასამტეხლოს, პროცენტის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 82669,82 (ოთმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და ოთმოცდაორი ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა

5. სამედიატორო სასამართლო პროცესის ხარჯები, მათ შორის სამართალწარმოების პროცესის ანაზღაურება LVL 3185,74 ლატის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი მიღების დღეს – 2011 წლის 14 სექტემბერს.

სს „პ-ის“ წარმომადგენელმა ი. დ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის განჩინებით სს „პ-ის“ წარმომადგენელ ი. დ-ის შუამდგომლობა ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ სს „პ-ის“ წარმომადგენელ ი. დ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ს“ დაუნესდა იძულებითი გადახდის წესი, იძულებითი გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაენესა სოლიდარულად გადასახადი ვ. ლ-ს სს „პ-ის“ სასარგებლოდ და დაეკისრა:

1. გაცემული და გადაუხდელი კრედიტის ძირითადი თანხის – 525000,00 აშშ დოლარის ანუ LVL 258300,00 ლატის გადახდა;

2. გამოანგარიშებული და გადაუხდელი პროცენტები კრედიტით სარგებლობისას 82669,82 (ოთხმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და 82 ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

3. პირგასამტეხლოს, კრედიტის ძირითადი თანხის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 186375,00 (ას ოთმოცდაექვსი ათას სამას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარისა და 00 ცენტის) ანუ LVL 91696,50 ლატის გადახდა;

4. პირგასამტეხლოს, პროცენტის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 82669,82 (ოთმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და ოთმოცდაორი ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

5. სამედიცინო სასამართლო პროცესის ხარჯები, მათ შორის სამართალწარმოების პროცესის ანაზღაურება LVL 3185,74 ლატის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი მიღების დღეს – 2011 წლის 14 სექტემბერს და ლატვიის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73^ე მუხლის თანახმად საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით უფლებამოსილ სასამართლოდ ითვლება საქართველოს უზენაესი სასამართლო.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში შპს „ლ-ს“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წარმოდგენილ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას უნდა ეთქვას უარი, რადგან მათთვის არ იყო ცნობილი საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, რადგან გადაწყვეტილებაში მოხსენიებული იპოთეკის შესახებ ხელშეკრულება №1 (24 ივნისი 2008 წელი) საერთოდ არ არის კავშირში საარბიტრაჟო დავის საგანთან, რითაც დარღვეულია „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის ა. გ. და ა. დ ქვეპუნქტი.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის ა. გ ქვეპუნქტის თანახმად იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ მხარე არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ვერ მიიღო მონაწილეობა საარბიტრაჟო განხილვაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებიდან, მხარეთა ახსნა-განმარტებიდან და ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ შპს „ლ-სათვის“ ცნობილი იყო საარბიტრაჟო პროცესის თაობაზე, რაც დასტურდება შპს „ლ-ს“ მიერ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე შესაგებლისა და მასალების წარმოდგენით. 2011 წლის 26 აგვისტოს 16-30-ზე სასამართლო სხდომაზე მოპასუხის (შპს „ლ-ს“) გამოუცხადებლობის გამო საარბიტრაჟო საქმის განხილვა გადაიდო 2011 წლის 14 სექტემბერს 16-30-ზე, რაც ეცნობა შპს „ლ-ს“ დაზღვეული წერილით (ფოსტის გზავნილზე ხელს აწერს უფლებამოსილი პირი). ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ შპს „ლ-ს“ ჰყავს ორი დირექტორი (ვ. ლ-ა, გენერალური დირექტორი და შ. ა-ე, დირექტორი), რომლებიც ინფორმირებულნი იყვნენ სასამართლო სხდომის თაობაზე, რაც ასევე მითითებულია ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებაში. შესაძლებელია, საარბიტრაჟო განხილვის თაობაზე შეტყობინება შ. ა-ს პირადად არ ჩაბარდა, მაგრამ მეორე დირექტორისათვის (ვ. ლ-სათვის) სასამართლო სხდომის თაობაზე შეტყობინების ფაქტს შპს „ლ-ს“ წარმომადგენლები სადავოდ არ ხდიდნენ (არც განცხადებაში და არც საქმის ზეპირი განხილვის დროს პრეტენზიას არ გამოთქვამდნენ).

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის ა. გ. ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი წინაპირობები.

საკასაციო პალატა ასევე განმარტავს, რომ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის ა. დ. ქვეპუნქტის თანახმად იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილი იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას მთლიანად ან მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ არსებობს განსახილველი ნორმით გათვალისწინებული წინაპირობები, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი გახდებოდა.

გასათვალისწინებელია, რომ ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია იპოთეკის შესახებ ხელშეკრულება №1 (24 ივნისი 2008 წელი). ამასთან ერთად, საკასაციო სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტების და საქმეში არსებული მასალების საფუძველზე ადგენს, რომ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების საგანს არ წარმოადგენდა ზემოაღნიშნული იპოთეკის ხელშეკრულება. ასევე, მხარეები სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ მითითებული ხელშეკრულება არც განხორციელებულა და არც მისი შესრულების არანაირი წინაპირობა არ არსებობს.

მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება არ ეხება სადავო იპოთეკის ხელშეკრულებას, რადგან გადაწყვეტილება არ იქნა გამოტანილი იპოთეკის შესახებ №1 (24 ივნისი 2008 წელი) ხელშეკრულებასთან ან ამ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ქონებასთან მიმართებით. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც არ ადგენს იპოთეკის შესახებ №1 (24 ივნისი 2008 წელი) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების რეალიზაციას. საარბიტრაჟო სასამართლომ გადაწყვიტა მხოლოდ მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხი.

ამდენად, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის „ა.დ“ ქვეპუნქტი ეხება მხოლოდ ისეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმ დავის შესახებ, რაც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, ანუ, ეხება შემთხვევებს, როდესაც სასამართლომ გადაწყვიტა საკითხი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არა აქვს.

ასევე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს („არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის ბ.ბ ქვეპუნქტი). საჯარო წესრიგი წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტურ პრინციპს და გამოიყენება, როგორც კოლიზიური ნორმის შეზღუდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

კონკრეტულ შემთხვევაში საკასაციო პალატამ გაამახვილა ყურადღება შემდეგ საკითხზე, კერძოდ, ხომ არ ეწინააღმდეგება ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის დადგენილ დანაწესს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამავე კანონის 301-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

განსახილველი ნორმების არსი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორი დაკმაყოფილებულად უნდა ჩათვალოს იმ შემთხვევაშიც თუ რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად. აღნიშნული ნორმებით განსაზღვრულია მოვალის ქონებრივი პასუხისმგებლობის ფარგლები და შესაბამისად, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი ნორმები ატარებენ დისპოზიციურ ხასიათს და აღნიშნული წესის შეცვლა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე.

საკასაციო პალატა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ შპს „ლ-ს“ წარმომადგენლები არც განცხადებაში და არც სასამართლო სხდომაზე არ აცხადებდნენ პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი პასუხისმგებლობას კისრულობდნენ მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველყოფის შეთანხმებების ფარგლებში, რომლის მტკიცების ტვირთი აკისრია შპს „ლ-ს“. მათი პრეტენზია, ქონებრივ საკითხთან მიმართებაში, შემოიფარგლებოდა მხოლოდ იპოთეკის შესახებ №1 (24 ივნისი 2008 წელი) ხელშეკრულებასთან მიმართებით, რაზედაც სასამართლომ იმსჯელა (იხ. ზემოთ).

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ ითვალისწინებს მხარეთა შორის 2008 წლის 11 მარტს დადებული მოთხოვნის უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონების რეალიზაციის საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას, ამდენად მითითებული გადაწყვეტილება არ ეხება მოთხოვნის უზრუნველყოფის ხელშეკრულებებს.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 301-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებული დანაწესები ეხება შემთხვევებს, როდესაც გირავნობის საგნის ან იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის. ანუ უნდა არსებობდეს პირველი, უზრუნველყოფილი ნივთის რეალიზაციის ფაქტი, (რასაც

კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს) და, მეორე, ამონაგები თანხა საკმარისი არ უნდა იყოს უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად (რომლის მიმართებაშიც შპს „ლ-ა“ არ დავობს).

ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონებიდან დაკმაყოფილება; გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 301-ე მუხლის 1¹ ნაწილით დადგენილ დანაწესს, რადგან არ არსებობს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების რეალიზაციის ფაქტი და, განსახილველი ნორმების დისპოზიციური ხასიათიდან გამომდინარე შპს „ლ-ს“ წარმომადგენლები არ დავობენ იმაზე, რომ მოდავე მხარეთა შორის 2008 წლის 11 მარტის საკრედიტო ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხოლოდ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონებიდან დაკმაყოფილებას. ასევე ამ გადაწყვეტილების გამოტანისას არ იყო დარღვეული მხარის უფლება, მონაწილეობა მიეღო საქმის ზეპირ განხილვაში.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს დამაბრკოლებელი გარემოებების საფუძველი. ამდენად, ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 731-ე მუხლით, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. სს „პ-ის“ წარმომადგენელ ი. დ-ის შუამდგომლობა ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.რიგის გაერთიანებული სამედიცინო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ს“ დაუწესდა იძულებითი გადახდის წესი, იძულებითი გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაენესა სოლიდარულად გადასახადი ვ. ლ-ს სს „პ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა:

1. გაცემული და გადაუხდელი კრედიტის ძირითადი თანხის – 525000,00 (ხუთას ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ანუ LVL 258300,00 (ორას ორმოცდათერთამეტი ათას სამასი) ლატის გადახდა;

2. გამოანგარიშებული და გადაუხდელი პროცენტები კრედიტით სარგებლობისას 82669,82 (ოთხმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და 82 ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

3. პირგასამტეხლოს, კრედიტის ძირითადი თანხის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 186375,00 (ას ოთმოცდაექვსი ათას სამას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარისა და 00 ცენტის) ანუ LVL 91696,50 ლატის გადახდა;

4. პირგასამტეხლოს, პროცენტის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 82669,82 (ოთმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და ოთმოცდაორი ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

5. სამედიცინო სასამართლო პროცესის ხარჯები, მათ შორის სამართალწარმოების პროცესის ანაზღაურება LVL 3185,74 ლატის ოდენობით.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2780-შ-59-2012

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 309 ფ 1457/11) ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა.ჯ.-კ-ის შორის (ნომერი 340-2007).

ა. ჯ.-კ-იმ წარმომადგენელ ლ. გ-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთხსენებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განჩინებით ა. ჯ.-კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. ჯ.-კ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 309 ფ 1457/11) ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ.-კ-ის შორის (ნომერი 340-2007).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება (საქმე № 309 ფ 1457/11), რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ.-კ-ის შორის (ნომერი 340-2007), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ჯ.-კ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების (საქმე № 309 ფ 1457/11) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება (საქმე № 309 ფ 1457/11), რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ.-კ-ის შორის (ნომერი 340-2007).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2121-შ-44-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის

ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით. ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან.

ა. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითთებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით ა. მ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით. ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან.

ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულ ნაწილში გადანყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 17 ოქტომბერს. ამასთან, იგი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ასევე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ა. მ-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. მ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით, ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3019-შ-63-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე № 9 F 62/11) გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002).

ბ. გ.-კ-მა წარმომადგენელ ნ. ო-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითიებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ივლისის განჩინებით ბ. გ.-კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ბ. გ.-კ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე № 9 F 62/11) გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე № 9 F 62/11), რომლითაც გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბ. გ.-კ-ის შუამდგომლობა გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე № 9 F 62/11) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე № 9 F 62/11), რომლითაც გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1369-შ-30-2012

24 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქონებაზე ყადაღის დადება

აღწერილობითი ნაწილი:

ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი უზრუნველყოფის დროებით ღონისძიებებთან დაკავშირებით. უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიებების სახით შესრულდეს დაყადაღება რათა დაკმაყოფილდეს მოსარჩელე „G. Inc.“-ის (A. W. ..., G., Illinois, USA, ანგარიშის ნომერი ..., ბანკი N. C. B. 363 W.O. St., Chicago IL ...) მოთხოვნები. შესრულდეს „K.“-ის (იურიდიული პირის კოდი რეგისტრირებული ოფისი: P. Str. 8/ B. Str.1 Vilnius), „V.“-ის (იურიდიული პირის კოდი ..., რეგისტრირებული ოფისი: P. Str. 8/ B. Str.1 Vilnius), და ვ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი: P. Str. 10-1 Vilnius) საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების, ასევე მათი მესამე მხარეების მფლობელობაში არსებული ქონების სეკვესტრაცია შემდეგი თანხებით: „K.“ – 4,567,000 (ოთხი მილიონ ხუთას სამოცდაშვიდი ათასი) ლიტა; ვ. გ-ი – 10,644,851 (ათი მილიონ ექვსას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტა; „V.“-ის და ვ. გ-ის საკუთრებაში არსებული დაყადაღებას დაქვემდებარებული აქტივების არარსებობის გამო თანხით 15,221,851 (თხუთმეტი მილიონ ორას ოცდაერთი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტვური ლიტა, შესრულდეს სეკვესტრაცია დ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი R. str. 15, Vilnius) საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება და ვ. გ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება პრეტენზიის დანარჩენი ნაწილისათვის, მაგრამ არა უმეტეს 15,221,851 (თხუთმეტი მილიონ ორას ოცდაერთი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტვური ლიტისა, აეკრძალათ მოპასუხეებს დაყადაღებული აქტივების განკარგვა, გირაოში ან იპოთეკაში ჩადება, ან სხვაგვარად ამ აქტივების იურიდიული სტატუსის გაზრდა. მოპასუხეების საკუთრებაში უძრავი და მოძრავი ქონების არარსებობის ან არასაკმარისი უძრავი და მოძრავი ქონების არსებობის შემთხვევაში შესრულდეს მოპასუხეების საბანკო ანგარიშებზე ან/და სხვა საკრედიტო ინსტიტუციის ანგარიშზე არსებული, ან მესამე მხარეების საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრების სეკვესტრაცია, რათა „K.“-მა და „V.“-მა შეძლონ სახელმწიფო გადასახადების და სადაზღვეო თანხების გადახდა და გადაუხადონ მოსარჩელეს საკუთრი დაყადაღებული ფულადი სახსრებიდან.

ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაყადაღებას დაექვემდებარა მოპასუხის და/ან მესამე მხარეების, მოპასუხე ვ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი R. str. 15, Vilnius) მფლობელობაში არსებული უძრავი და/ან მოძრავი ქონება თანხით 10,644,851 (ათი მილიონ ექვსას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტა მოსარჩელე „G. Inc.“-ის (A. W. ..., Glenview, Illinois, USA, ანგარიშის ნომერი ..., ბანკი) სარჩელის დასაკმაყოფილებლად. მოპასუხეებს აეკრძალათ უძრავი და/ან მოძრავი ქონების გაყიდვა ან გადაცემა მესამე მხარისთვის, გირაოში ან იპოთეკაში ჩადება, ან მათი სხვაგვარად განკარგვა. უფლება მიეცათ ისარგებლონ დაყადაღებული უძრავი და/ან მოძრავი ქონებით, თუ კი სარგებლობა არ გულისხმობს მათ დაზიანებას ან ღირებულების შემცირებას მახასიათებლები შეცვლის გამო. უძრავი და/ან მოძრავი ქონების არ არსებობის, ან მოსარჩელის დასაკმაყოფილებლად მათი არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, დაყადაღებას დაექვემდებარა ფინანსური სახსრები, რომლებიც განთავსებულია მოპასუხის საბანკო ან სხვა საკრედიტო დაწესებულების ანგარიშზე, ან მესამე მხარეების საკუთრებაში ან მის მფლობელობაში არსებული სახსრების დაყადაღება, ოღონდ არა უმეტეს 10,644,851 (ათი მილიონ ექვსას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტისა.

ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დ. გ-ის მოთხოვნა; გაუქმდა დროებითი დამცავი ღონისძიებები – უძრავ-მოძრავი ქონებისა და ფულადი რესურსების ყადაღა – რომელიც განხორციელდა დ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი R. str. 15, Vilnius) მიმართ ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით სამოქალაქო საქმეზე № 2-7623-392/2010.

ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შეწყდა სააპელაციო საქმის წარმოება, რომელიც ეხება შუალედური დაცვითი ზომების გამოყენებას დ. გ-ის (პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი ..., მცხოვრები ვილნიუსში, რ-ს ქ.№15) მფლობელობაში მყოფი საკუთრებისა და ფულადი სახსრების მიმართ.

„G. Inc.“-ის წარმომადგენელმა დ. უ.-ფ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მაისის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა სასამართლოში წარმოედგინა დაზუსტებული მოთხოვნა და მოპასუხეების – ვ. გ-ისა (პირადი კოდი ...) და ვ. გ-ის (პირადი კოდი ...) საცხოვრებელი ადგილის მისამართები საქართველოს ტერიტორიაზე.

დადგენილ ვადაში „G. Inc.“-ის წარმომადგენელმა დ. უ.-ფ-მ განაცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მიუთითა, რომ შუამდგომლობის ავტორი ითხოვდა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვე-

ტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, ხოლო „G. Inc.“-ისთვის უცნობი იყო მოპასუხეების - ვ. გ-ისა (პირადი კოდი 36001180191) და ვ. გ-ის (პირადი კოდი ...) საცხოვრებელი ადგილი და მისამართები საქართველოს ტერიტორიაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ „G. Inc.“-ის წარმომადგენელ დ. უ.-ფ-ს შუამდგომლობა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ორ შემთხვევაში მოიცავს: ა) საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არ არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძალითაც მხარეებს ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობის ვალდებულება ეკისრებათ, ბ) უცხო ქვეყანა, გარკვეული მოსაზრებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი ითხოვს მიღებულია ლიტვის სასამართლოს მიერ. საქართველოსა და ლიტვის სახელმწიფოს შორის რაიმე ორმხრივი შეთანხმება სამართლებრივი დახმარების გაწევის ან სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ არ არსებობს. მხარეები არც რომელიმე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრები არიან, რომელიც ამგვარ საკითხებს აწესრიგებს, შესაბამისად, ლიტვის სახელმწიფოს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულება არ აქვს ნაკისრი, აღნიშნული კი, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის საფუძველზე, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „G. Inc.“-ის წარმომადგენელ დ. უ.-ფ-ს შუამდგომლობა არ შეესაბამება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

„G. Inc.“-ის წარმომადგენელ დ. უ.-ფ-ს შუამდგომლობა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2771-შ-58-2012

25 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინებით მოსარჩელე ნ. შ-ს განცხადება სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო საქმეზე ნ. შ-ს სარჩელი მოპასუხეების – ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციისა და ი. ი-ს მიმართ ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის ადმინისტრაციის 1992 წლის 27 ნოემბრის №80 დადგენილების, ნ. კ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმბის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ი. ი-ს სახელზე სახელმწიფო რეგისტრაციის ბათილად ცნობის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის S-ის მესაკუთრედ ნ. შ-ს ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციას ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების საადვოკატო მომსახურებისათვის 16625 რუბლის ოდენობით; ი. ი-ს ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების წარმომადგენლის მომსახურებისათვის 33250 რუბლის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული სასამართლო ხარჯების დაკისრებას ეთქვა უარი. აღნიშნული განჩინება ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 13 სექტემბერს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ნ. შ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით ნ. შ-ს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. შ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინებით მოსარჩელე ნ. შ-ს განცხადება სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო საქმეზე ნ. შ-ს სარჩელი მოპასუხეების – ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციისა და ი. ი-ს მიმართ ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის ადმინისტრაციის 1992 წლის 27 ნოემბრის №80 დადგენილების, ნ. კ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმბის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ი. ი-ს სახელზე სახელმწიფო რეგისტრაციის ბათილად ცნობის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის 1/2-ის მესაკუთრედ ნ. შ-ს ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციას ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების საადვოკატო მომსახურებისათვის 16625 რუბლის ოდენობით; ი. ი-ს ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების წარმომადგენლის მომსახურებისათვის 33250 რუბლის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული სასამართლო ხარჯების დაკისრებას ეთქვა უარი. აღნიშნული განჩინება ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 13 სექტემბერს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ვათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინება ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ნ. შ-ს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინება, რომლითაც ი. ი. ს. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების – წარმომადგენლის მომსახურებისათვის 33250 რუბლის ანაზღაურება.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1886-შ-39-2012

26 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის – პირთა ნათესაური კავშირის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ი. ო. კ-მა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის – არასრულწლოვანი შვილების: ტ. ა. ყ. კ-სა და ი. ა. ო. კ-ის მიმართ ნათესაური კავშირის დადგენის თხოვნით.

რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ტ. ა. ყ. კ-სა და ი. ა. ო. კ-ის ინტერესების დამცველ ა. ი. ო. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში 1992 წლის .. ივლისს დაბადებული ტ. ა. ყ. კ-სა და საქართველოში დმანისის რაიონის სოფელ კ-ში 1996 წლის .. აგვისტოს დაბადებული ი. ა. ო. კ-ის მამა 1964 წლის .. ოქტომბერს დაბადებული ა. ი. ო. კ-ია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. კ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 სექტემბერს, ირკვევა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეს იღებდა შვილების კანონიერი წარმომადგენელი – დედა, ასევე განმცხადებელი – მამა, დასტურდება მოცემული შუამდგომლობის განხილვაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და მხარის იურიდიული ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინებით ა. კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ა. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ტ. ა. ყ. კ-სა და ი. ა. ო. კ-ის ინტერესების დამცველ ა. ი. ო. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში 1992 წლის .. ივლისს დაბადებული ტ. ა. ყ. კ-სა და საქართველოში დმანისის რაიონის სოფელ კ-ში 1996 წლის .. აგვისტოს დაბადებული ი. ა. ო. კ-ის მამა 1964 წლის .. ოქტომბერს დაბადებული ა. ი. ო. კ-ია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. კ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 სექტემბერს, ირკვევა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეს იღებდა შვილების კანონიერი წარმომადგენელი – დედა, ასევე განმცხადებელი – მამა, დასტურდება მოცემული შუამდგომლობის განხილვაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და მხარის იურიდიული ინტერესი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატარკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

1. ა. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ტ. ა. ყ. კ-სა და ი. ა. ო. კ-ის ინტერესების დამცველ ა. ი. ო. კ-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში 1992 წლის .. ივლისს დაბადებული ტ. ა. ყ. კ-სა და საქართველოში დმანისის რაიონის სოფელ კ-ში 1996 წლის .. აგვისტოს დაბადებული ი. ა. ო. კ-ის მამა 1964 წლის .. ოქტომბერს დაბადებული ა. ი. ო. კ-ია.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-1887-შ-40-2012

26 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის - პირთა ნათესაური კავშირის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა. ყ. კ-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის – პირთა ნათესაური კავშირის დადგენის თხოვნით.

რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ა. ყ. კ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ 1990 წლის .. ივნისს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ა. ყ. კ-ა 1964 წლის .. ოქტომბერს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ი. ო. კ-ის ქალიშვილია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. კ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების დამონებული ასლით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 სექტემბერს, ირკვევა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა როგორც განმცხადებლის დედა, ისე მამა, ასევე დასტურდება მოცემული შუამდგომლობის განხილვაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და მხარის იურიდიული ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინებით ა. კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ა. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გა-

დანყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ა. ყ. კ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ 1990 წლის .. ივნისს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ა. ყ. კ-ა 1964 წლის .. ოქტომბერს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ი. ო. კ-ის ქალიშვილია.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ა. კ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 სექტემბერს, ირკვევა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა როგორც განმცხადებლის დედა, ისე მამა, ასევე დასტურდება მოცემული შუამდგომლობის განხილვაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და მხარის იურიდიული ინტერესი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ა. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ა. ყ. კ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ 1990 წლის .. ივნისს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ა. ყ. კ-ა 1964 წლის 21 ოქტომბერს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ი. ო. კ-ის ქალიშვილია.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-1931-შ-41-2012

10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ო-სა და პ. კ-ს შორის დარმშტადტის მმარის ბიუროში 2006 წლის 20 ოქტომბერს რეგისტრირებული №694/2006 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

მ. ო-ის წარმომადგენელმა რ. ჩ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის განჩინებით მ. ო-ს მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად და დაევალა სასამართლოში წარმოდგინა მის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობა ან უფლებამოსილ ადვოკატთან კანონით დადგენილი წესით შედგენილი რწმუნებულება. დადგენილ ვადაში მ. ო-ის წარმომადგენელმა რ. ჩ-მ განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა ადვოკატის მოწმობა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომლებიდანაც დადგინდა, რომ რ. ჩ-ს ჩაბარებული აქვს სამოქალაქო სამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და მინიჭებული აქვს სპერტო სპეციალიზაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით მ. ო-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის შუამდგომლობა დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების (№55 F 1360/10 S) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ო-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის შუამდგომლობა დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების (№55 F 1360/10 S) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით (№55 F 1360/10 S) მ. ო-სა და პ. კ-ს შორის დარმშტადტის მმარის ბიუროში 2006 წლის 20 ოქტომბერს რეგისტრირებული №694/2006 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 15 თებერვალს. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება (№55 F 1360/10 S) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

მ. ო-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის შუამდგომლობა გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების (№55 F 1360/10 S) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება (№55 F 1360/10 S), რომლითაც მ. ო-სა და პ. კ-ს შორის დარმშტადტის მმარის ბიუროში 2006 წლის 20 ოქტომბერს რეგისტრირებული №694/2006 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით (№407 F 76/12) ე. შ-სა და ქ. შ-ს შორის ტონდერის თემის/დანია მმარის ბიუროში 2008 წლის 17 ივლისს რეგისტრირებული №3647/2008 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

ე. შ-ის წარმომადგენელმა თ. ვ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივნისის განჩინებით ე. შ-ის წარმომადგენელ თ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. შ-ის წარმომადგენელ თ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით (№407 F 76/12) ე. შ-სა და ქ. შ-ს შორის ტონდერის თემის/დანია მმარის ბიუროში 2008 წლის 17 ივლისს რეგისტრირებული №3647/2008 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 23 აპრილს, ასევე დასტურდება, რომ მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე, რადგან გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ შეესაბამებოდა ორივე მუხლის განცხადებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება (№407 F 76/12) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

ე. შ-ის წარმომადგენელ თ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება (№407 F 76/12), რომლითაც ე. შ-სა და ქ. შ-ს შორის ტონდერის თემის/დანია მმარის ბიუროში 2008 წლის 17 ივლისს რეგისტრირებული №3647/2008 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა
და აღსრულება

განცხადება

№ა-3147-შ-65-2012

10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით
ჯ. ნ-სა და ა. მ-ს შორის მცხეთის რაიონის/საქართველო მმარჩის ბიუროში 2001 წლის 4 ივლისს რეგისტრი-
რებული №4 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით
გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის საბოლოო გადაწყვე-
ტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების თარიღად ნაცვლად 2001 წლის 4 ივლისისა მიეთითა
2001 წლის 7 აპრილი.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით
გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში
მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების მოწმობის გაცემის თარიღად ნაცვლად 2011 წლის 7 აპრილისა
მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

ჯ. ნ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის
ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების, გერმანიის
ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებისა და გერმანიის
ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს
ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 ივლისის განჩინე-
ბით ჯ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30
იანვრის გადაწყვეტილების, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22
მაისის გადაწყვეტილებისა და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15
ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ჯ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის
ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების, გერმანიის
ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებისა და გერმანიის
ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს
ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით
ჯ. ნ-სა და ა. მ-ს შორის მცხეთის რაიონის/საქართველო მმარჩის ბიუროში 2001 წლის 4 ივლისს რეგისტრი-
რებული №4 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით
გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის საბოლოო გადაწყვე-
ტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების თარიღად ნაცვლად 2001 წლის 4 ივლისისა მიეთითა
2001 წლის 7 აპრილი.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით
გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში
მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების მოწმობის გაცემის თარიღად ნაცვლად 2011 წლის 7 აპრილისა
მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინ-
სტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 3
მარტს, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილე-
ბა კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 14 ივნისს და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასა-
მართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 6 ივლისს.

მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქ-
მის განხილვაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თა-
ნახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაე-
სი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანო-
ნიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწი-

ნებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ჯ. წ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების (№001 F 00096/07), გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებისა (№1 F 96/07) და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების (№1 F 96/07) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება (№001 F 00096/07), რომლითაც ჯ. წ-სა და ა. მ-ს შორის მცხეთის რაიონის/საქართველო მმარჩის ბიუროში 2001 წლის 4 ივლისს რეგისტრირებული №4 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება (№1 F 96/07), რომლითაც გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის საბოლოო გადაწყვეტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების თარიღად ნაცვლად 2001 წლის 4 ივლისისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება (№1 F 96/07), რომლითაც გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების მოწმობის გაცემის თარიღად ნაცვლად 2011 წლის 7 აპრილისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-492-შ-11-2012

19 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ქრეიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ს“ დაუწესდა იძულებითი გადახდის წესი, იძულებითი გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაენესა სოლიდარულად გადასახადი ვ. ლ-ს სს „პ-ის“ (AS „P.“) სასარგებლოდ დაეკისრა:

1. გაცემული და გადაუხდელი კრედიტის ძირითადი თანხის – 525000 აშშ დოლარის ანუ LVL 258300 ლატის გადახდა;

2. გამოანგარიშებული და გადაუხდელი პროცენტები კრედიტით სარგებლობისას 82669,82 (ოთხმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და 82 ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

3. პირგასამტეხლოს, კრედიტის ძირითადი თანხის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 186375,00 (ას ოთმოცდაექვსი ათას სამას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარისა და 00 ცენტის) ანუ LVL 91696,50 ლატის გადახდა;

4. პირგასამტეხლოს, პროცენტის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 82669,82 (ოთმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და ოთმოცდაორი ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა

5. სამედიატორო სასამართლო პროცესის ხარჯები, მათ შორის სამართალწარმოების პროცესის ანაზღაურება LVL 3185,74 ლატის ოდენობით.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა მისი მიღების დღეს – 2011 წლის 14 სექტემბერს.

სს „პ-ის“ (AS „P.“) წარმომადგენელმა ი. დ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივლისის განჩინებით:

1. სს „პ-ის“ (AS „P.“) წარმომადგენელ ი. დ-ის შუამდგომლობა ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიეცეს აღსასრულებლად ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „ლ-ს“ დაუწესდა იძულებითი გადახდის წესი, იძულებითი გადახდევინების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაენესა სოლიდარულად გადასახადი ვ. ლ-ს სს „პ-ის“ (AS „P.“) სასარგებლოდ დაეკისრა:

1. გაცემული და გადაუხდელი კრედიტის ძირითადი თანხის – 525000,00 ხუთას ოცდახუთი ათასი აშშ დოლარის ანუ LVL 258300,00 (ორას ორმოცდათვრამეტი ათას სამასი) ლატის გადახდა;

2. გამოანგარიშებული და გადაუხდელი პროცენტები კრედიტით სარგებლობისას 82669,82 (ოთხმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და 82 ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

3. პირგასამტეხლოს, კრედიტის ძირითადი თანხის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 186375,00 (ას ოთხმოცდაექვსი ათას სამას სამოცდათხუთმეტი აშშ დოლარისა და 00 ცენტის) ანუ LVL 91696,50 ლატის გადახდა;

4. პირგასამტეხლოს, პროცენტის დაგვიანებით გადახდასთან დაკავშირებით 82669,82 (ოთხმოცდაორი ათას ექვსას სამოცდაცხრა აშშ დოლარისა და ოთხმოცდაორი ცენტის) ანუ LVL 40673,55 ლატის გადახდა;

5. სამედიატორო სასამართლო პროცესის ხარჯები, მათ შორის სამართალწარმოების პროცესის ანაზღაურება LVL 3185,74 ლატის ოდენობით.

სასამართლო შემაჯამებელი აქტით მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილება არ მომხდარა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში მიღებულ უნდა იქნას დამატებითი განჩინება შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია, თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავ ენორმის 31 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვა, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

განსახილველ შემთხვევაში, რადგანაც დამატებითი განჩინების გამოტანის საფუძველი სწორედ სასამართლო ხარჯების განსაზღვრის საკითხია, პალატამ მხარეთა მოწვევა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სს „პ-ის“ (AS „P.“) წარმომადგენელ ი. დ-ის შუამდგომლობა ქ.რიგის გაერთიანებული სამედიატორო სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა, მონინალმდევე მხარეს, შპს „ლ-ს“ სს „პ-ის“ (AS „P.“) სასარგებლოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად, უნდა დაეკისროს შუამდგომლობის ავტორის მიერ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 8000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი, 31 ნაწილებით, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ლ-ს“ სს „პ-ის“ (AS „P.“) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8000 ლარის გადახდა;
2. საკასაციო სასამართლოს დამატებითი განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2517-შ-54-2012

24 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 111 F 4264/10) გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმარჩის ბიუროს მოხელის წინაშე მეუღლეების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193).

გ. რ-მა წარმომადგენელ ა. შ-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ივნისის განჩინებით გ. რ-ის (წარმომადგენელი ა. შ-ი) შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ გ. რ-ის (წარმომადგენელი ა. შ-ი) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 111 F 4264/10) გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმარჩის ბიუროს მოხელის წინაშე მეუღლეების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე № 111 F 4264/10), რომლითაც გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმარჩის ბიუროს მოხელის წინაშე მეუღლეების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. რ-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე №111 F 4264/10) იმ ნაწილ-

ში, რომლითაც გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმარჩის ბიუროს მოხელის წინაშე მეულ-
ლების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193).
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1323-შ-28-2012

2 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: რუსეთის ფედერაციის ქვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს
2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-403/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და
აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13
ოქტომბრის გადაწყვეტილებით ტ. ტ-ის ძე ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს შრომის, ჯან-
მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტ. ტ-ის ძე ა-ის
სასარგებლოდ დაეკისრა: ა. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზი-
ანის გამო ერთჯერადი სადაზღვევო გადასახადი, 69638 რუბლის ოდენობით; ბ. შრომითი მოვალეობის
შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, ყოველთვიური სადაზღვევო გადასახა-
დის დაჯალიანება 2330399 რუბლის ოდენობით; გ. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის 600000 რუბლის
ოდენობით; დ. 2009 წლის 01 ოქტომბრიდან, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო 33479 რუბ-
ლის გადახდა. ამასთან, დადგინდა, რომ ტ. ტ-ის ძე ა-ის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო
ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის ინდექსაცია და მისი პერიოდულობა განისაზღვროს საქართველოს
ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ტ. ა-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებუ-
ლი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 აპრილის განჩი-
ნებით ტ. ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინებით სსიპ სოციალური მომსახუ-
რების სააგენტოს გაეგზავნა როგორც ხსენებული შუამდგომლობის, ისე შუამდგომლობაზე თანდართული
მასალების ასლები. ადრესატს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა წარმოედგინა მოსაზრება ტ. ტ-ის ძე ა-ის
შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში, მასვე განამარტა ისიც,
რომ შეეძლო მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განი-
ხილებოდა ზეპირი განხილვის გარეშე.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება, სა-
დაც აღნიშნა, რომ 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მოქმედი საბიუჯეტო კანონებით არ ყოფილა გათვა-
ლისწინებული საჭირო ასიგნებები 2007 წლის 1 მარტის შემდგომ პერიოდში სააგენტოს მიმართ წარმოდ-
გენილი ისეთი მოთხოვნების დასაკმაყოფილად, როგორცაა წარმოადგენს შრომითი მოვალეობის შესრუ-
ლებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სააგენტო მოკლებულია ფინანსურ შესაძლებლო-
ბას, რადგან იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი დაფინანსების ფაქტობრივად ერთა-
დერთი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, სარჩო კი არის მიზნობრივი სოციალური გასაცემელი (პენსიის,
სუბსიდიის მსგავსად). მისი დაფინანსება ხდება ბიუჯეტის მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური კლასიფი-
კაციის მიხედვით მიზნობრივი ასიგნებიდან. ზემომითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მონი-
ნაალმდევე მხარე მიიჩნევს, რომ დღეისათვის სოციალური მომსახურების სააგენტო არ წარმოადგენს
ვალდებულ პირს საწარმოო ტრავმის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებში. ამასთან, საბი-
უჯეტო სახსრებიდან თანხის ანაზღაურების საკითხი უნდა განხილულიყო საქართველოში მოქმედი კა-
ნონმდებლობის შესაბამისად. არამართებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე
მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისროს
თანხების ანაზღაურება.

მონინაალმდევე მხარე არასწორად მიიჩნევს ასევე სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახულ მითითე-
ბას იმის შესახებ, რომ მოპასუხეს ეცნობა სხდომის შესახებ, მაგრამ რაიმე პოზიცია არ წარუდგენია. მისი
განმარტებით, სოციალური მომსახურების სააგენტოში არც დასახელებული საქმე და სხდომის ჩატარე-
ბის თაობაზე არც რაიმე სახის შეტყობინება არ შესულა. შუამდგომლობა არ შეიცავს უტყუარ მტკიცებუ-

ლებას, რაც დაადასტურებს სასამართლო უწყების სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას.

გარდა ამისა, მონინააღმდეგე მხარის მოსაზრებით, რუსეთის ფედერაციის სასამართლოს არ გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია განსახილველი დავის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ა-ის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხს ანესრიგებს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. აღნიშნული კანონის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის მე-2 ნაწილის თანახმად, აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის კანონი ადგენს განსაზღვრულ წინაპირობებს. სწორედ ამ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობა, რათა მოხდეს შესაბამისი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და მისი აღსასრულებლად მიქცევა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლად განიხილავს შემდეგ ორ შემთხვევას, თუ: საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება ან თუ, უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.

კომპეტენციასთან დაკავშირებული ზემომითითებული საკითხების საკანონმდებლო მონესრიგებას გვთავაზობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმები, თუმცა მისი მე-2 მუხლი ადგენს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენცია, რომლის ხელშემკვრელ მხარეებსაც წარმოადგენენ როგორც საქართველო, ასევე რუსეთის ფედერაცია, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ასევე უკავშირებს ამ სასამართლოს კომპეტენტურობას. კერძოდ, კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, თითოეული ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დაწესებულებათა მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ, მოცემული კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დაწესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

დასახელებული კონვენციის 42-ე მუხლი შეიცავს შემდეგ დანაწესს: ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები, იმათ გარდა, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან და სხვა მართლზომიერი მოქმედებებიდან, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა; თუ ზიანის მიმყენებელი და დაზარალებული ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქენი არიან, გამოიყენება ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა; ზემოაღნიშნულ საქმეებში კომპეტენტურია იმ ქვეყნის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. დაზარალებულს შეუძლია აგრეთვე სარჩელი წარუდგინოს იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საცხოვრებელი ადგილი აქვს მოპასუხეს. კონვენციის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ 42-ე მუხლით მონესრიგებული შემთხვევები განეკუთვნება ხელშემკვრელი მხარის სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტ. ტ-ის ძე ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა: ა. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო ერთჯერადი სადაზღვევო გადასახადი 69638 რუბლის ოდენობით; ბ. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, ყოველთვიური სადაზღვევო გადასახადის დავალიანება 2330399 რუბლის ოდენობით; გ. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის 600000 რუბლის ოდენობით; დ. 2009 წლის 1 ოქტომბრიდან, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო 33479 რუბლის გადახდა. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხისათვის მოსარჩელე ტ. ა-ის სასარგებლოდ თანახის გადახდის დაკისრებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო საქართველოში, კერძოდ, ქ.ტყიბულში მდებარე ორჯონიკიძის

სახელობის შახტაში მოსარჩელის დასახიჩრების ფაქტი, რის შედეგადაც მას დაუდგინდა პროფესიული შრომისუნარიანობის 50%-ით, ხოლო საერთო შრომისუნარიანობის 35%-ით დაკარგვა.

ამდენად, ნათელია, რომ რუსეთის ფედერაციის სასამართლომ განიხილა საქმე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დადგა. მოცემული საქმე საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის 42-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნული გარემოება კი, კონვენციის 55-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა :

1. ტ. ა-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-403/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

№ა-2673-შ-55-2012

2 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის ასულ ლ-სა და გ. გ-ის ძე ლ-ს შორის 2004 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული №მნ 0047152 ქორწინება გაუქმდა, ქორწინების გაუქმების ბაჟი სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილ იქნა ერთი ბაზისური სიდიდით თითოეული მხარის მიერ, განქორწინების შემდგომ მოსარჩელეს მიეკუთვნა გვარი ლ-ა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მოპასუხე გ. ლ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება შემდეგი: ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და ის შესულია კანონიერ ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა არ გამოცხადდა და მოითხოვა საქმის მის დაუსწრებლად განხილვა, ამასთან, სცნო სარჩელი. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ასევე დადასტურებულია გადაწყვეტილების მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ასევე საქმეში წარმოდგენილია ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს გზავნილი, რომელიც საქართველოში ჩაჰბარდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.

სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის საფუძველზე შუამდგომლობის ავტორმა დამატებით წარმოადგინა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი, ასევე განმარტა, რომ 2010 წლის 27 ნოემბერს ჯვარი დაინერა მოქალაქე თ. ც-ზე და სურს გააფორმოს მასთან სამოქალაქო ქორწინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით გ. ლ-ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ლ-ს შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და ის შესულია კანონიერ ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა არ გამოცხადდა და მოითხოვა საქმის მის დაუსწრებლად განხილვა, ამასთან, ცნო სარჩელი. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ასევე დადასტურებულია გადაწყვეტილების მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ასევე საქმეში წარმოდგენილია ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს გზავნილი, რომელიც საქართველოში ჩაბარდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს. ირკვევა ის, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა, მხარის წერილობითი განმარტებით ასევე დასტურდება, რომ 2010 წლის 27 ნოემბერს მან ჯვარი დაინერა მოქალაქე თ. ც-ზე და სურს გააფორმოს მასთან სამოქალაქო ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ლ-ს შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის ასულ ლ-სა და გ. გ-ის ძე ლ-ს შორის 2004 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული №მნ 0047152 ქორწინება გაუქმდა, ქორწინების გაუქმების ბაჟი სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილ იქნა ერთი ბაზისური სიდიდით თითოეული მხარის მიერ, განქორწინების შემდგომ მოსარჩელეს მიეკუთვნა გვარი ლ-ა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3108-შ-64-2012

4 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

რუდოლფშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით 1999 წლის 27 აპრილს საქართველოს ქ.თბილისის მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერი განყოფილების მიერ რეგისტრირებული №494/1999 ქორწინება რ. ლ-სა და უ. ნ-ს შორის შეწყვეტილ იქნა მხარეთა განქორწინების გამო, მეუღლეთა შორის წილების დაბალანსებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯები ერთმანეთის სასარგებლოდ დაეკისრათ მხარეებს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა უ. ნ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 მაისიდან, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ დადგენილი წესით (მონაწილეობდნენ წარმომადგენლის მეშვეობით), საქმეში წარმოდგენილი საოჯახო წიგნის აპოსტილით დამონმებული ასლის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც უ. ნ-ი მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო უ. ნ-ის პირადობის მონმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმოალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინებით უ. ნ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ უ. ნ-ის შუამდგომლობა რუდოლფშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 მაისიდან, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ დადგენილი წესით (მონაწილეობდნენ წარმომადგენლის მეშვეობით), საქმეში წარმოდგენილი საოჯახო წიგნის აპოსტილით დამონმებული ასლის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც უ. ნ-ი მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო უ. ნ-ის პირადობის მონმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუდოლფშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საოლქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

1. უ. წ-ის შუამდგომლობა რუდოლშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუდოლშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც 1999 წლის 27 აპრილს საქართველოს ქ.თბილისის მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერი განყოფილების მიერ რეგისტრირებული №494/1999 ქორწინება რ. ლ-სა და უ. წ-ს შორის შეწყვეტილ იქნა მხარეთა განქორწინების გამო, მეუღლეთა შორის წილების დაბალანსებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯები ერთმანეთის სასარგებლოდ დაეკისრათ მხარეებს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1833-შ-36-2012

11 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ-ს ე-ის ძის და ი. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, საქართველოს მოქალაქე ს. ბ. ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის შვილად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. ბ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს საელჩოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილებისა და მისი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, განხილულ იქნა სასამართლოს დახურულ სხდომაზე და მოპასუხე მასში მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით იღებდა, დადგენილია, რომ მხარემ (შვილად ამყვანმა) თანხმობა განაცხადა საქართველოს მოქალაქის შვილად აყვანაზე, სასამართლომ მისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმა და დაადგინა, რომ შვილად აყვანა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას – სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოება, რომ შვილად ასაყვანი პირი – ს. ბ-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით მოცემული შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, საქართველოს მოქალაქე ს. ბ. ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის შვილად.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს საელჩოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილებისა და მისი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, განხილულ იქნა სასამართლოს დახურულ სხდომაზე და მოპასუხე მასში მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით იღებდა, დადგენილია, რომ მხარემ (შვილად ამყვანმა) თანხმობა განაცხადა საქართველოს მოქალაქის შვილად აყვანაზე, სასამართლომ მისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმა და დაადგინა, რომ შვილად აყვანა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას – სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოება, რომ შვილად ასაყვანი პირი – ს. ბ-ი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია, ამდენად, საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. ბ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მოქალაქე ს. ბ-ი ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ-ის შვილად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-1846-შ-37-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის (სარჩოს) დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;

2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.

3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.

5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.

6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახდის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 8 ოქტომბერს ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ წარმოადგინა დაზუსტებული შუამდგომლობა და მოითხოვა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-სა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;

2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.

3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.

5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.

6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახდის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში, 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011

ნლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე, დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიეცეს აღსასრულებლად შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1846-შ-37-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის (სარჩოს) დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;

2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.

3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.

5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.

6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახდის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 8 ოქტომბერს ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ წარმოადგინა დაზუსტებული შუამდგომლობა და მოითხოვა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-სა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;

2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.

3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.

5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.

6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახდის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში, 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე, დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: სადაზღვევო თანხის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. დ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ს. ჯ-ის“ მიმართ სადაზღვევო თანხის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი დასაბუთებით: ა. დ-ი არის ს. დ-ის მამა, რომელიც 2007 წლის 11 ნოემბრის ხელშეკრულებით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობდა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-5 ქვეითი ბრიგადის ტელეფონისტი იყო. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებულ სამხრეთ-აღმოსავლეთის დროს იგი დაიჭრა. სამკურნალო შევსებაში ყოფნისას, 2008 წლის 22 სექტემბერს სამკურნალო პროცედურის შემდეგ ბრუნდებოდა სახლში, რა დროსაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა. სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალების გამო სადაზღვევო თანხის მიღების საკითხი რეგულირდება 2008 წლის 31 იანვრის ხელშეკრულებით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის შესაბამისადაც ს. დ-ს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ში“ ჰქონდა სიცოცხლე დაზღვეული.

მოპასუხემ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: დაზღვეული პირი სევერიან დათიაშვილი გარდაცვალების მომენტში იმყოფებოდა სამკურნალო შევსებაში. 2008 წლის 22 სექტემბერს საგზაო შემთხვევა, რის შედეგადაც გარდაიცვალა მოსარჩელის შვილი, გამოწვეულ იქნა ს. დ-ის მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნების დარღვევით. აღნიშნული გარემოებანი გამორიცხავს სადაზღვევო თანხის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ა. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ს. ჯ-ს“ ა. დ-ის სასარგებლოდ 7000 ლარი დაეკისრა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის განჩინებით, წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო მოპასუხე არ შუამდგომლობს დაუსწრებელი განწყვეტილების გამოტანის თაობაზე, სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო უწყება ადრესატს ჰზარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტ შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ წარმომადგენლებს, ე. ყ-სა და ს. ნ-ს უწყებები მათ მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – ქ.თბილისში, ფ-ის ქ. №85/24-ში გაეგზავნათ და 2012 წლის 16 მაისს ოფის მენეჯერ ე. გ-ს ჩაჰზარდა. შეტყობინების ბარათებზე მითითებულია ე. გ-ის ხელმოწერა და პირადი ნომერი. საქმის მასალებით ასევე დასტურდება ს. ნ-ისა და ე. ყ-ის უფლებამოსილებანი.

შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ წარმომადგენლებს – ე. ყ-სა და ს. ნ-ს სხდომის დღის დანიშვნის თაობაზე გაეგზავნათ უწყება, სადაც მითითებული იყო სხდომის დანიშვნის თარიღი, სხდომაზე გამოცხადების სავალდებულობა და გამოუცხადებლობის თანმდევი შედეგები. უწყება ადრესატისათვის ჩაბარებული ითვლება 2012 წლის 16 მაისს. ამდენად, ადრესატი 13 დღით ადრე იყო ინფორმირებული სხდომის დანიშვნის თაობაზე. შესაბამისად, აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ გამოუცხადებელ მხარეს დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე. პალატამ გამოიკვლია რა საქმეში არსებული მასალები და თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში, 2012 წლის 29 მაისს, 14:00 საათისათვის, შესული კორესპონდენცია, დარწმუნდა, რომ აპელანტს სასამართლოსათვის არ მოუწოდებია ინფორმაცია დაუძღვრევი ძალის ან სხვა რაიმე ისეთი მოვლენის შესახებ, რომელსაც ეყოლოდა, ხელი შეეშალა აპელანტისათვის სასამართლოში დროულად გამოცხადებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს სხდომის გადადების კანონისმიერი წინაპირობები. შესაბამისად, სასამართლო მოწინააღმდეგე მხარეების წარმომადგენლის შუამდგომლობას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე საფუძვლიანად მიიჩნევს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა შპს „ა. ს. ჯ-ის“ იურიდიული დეპარტამენტის დირექტორმა ე. ყ-მა და იურისტმა ს. ნ-მა შემდეგი დასაბუ-

თებით: 2012 წლის 29 მაისს სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ წერილში მითითებული იყო წარმომადგენლების ობიექტური გამოუცხადებლობის მიზეზები, კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ისინი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ვერ შესძლებდნენ პროცესზე დასწრებას. აღნიშნული გარემოებების დადასტურებელი მტკიცებულება კი, სასამართლოს 2012 წლის 5 ივნისს წარედგინა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით, ხოლო მოპასუხე არ შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე, სასამართლო უფლებამოსილია, მიიღოს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება 276-ე-278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტი შპს სადაზღვევო კომპანია „ა. ს. ჯ-ის“ წარმომადგენლებს, ე. წ. სა და ს. ნ-ს უწყებები მათ მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე – ქ. თბილისი, ფ-ის ქ. №85/24-ში გაეგზავნათ და 2012 წლის 16 მაისს ოფის მენეჯერ ე. გ-ს ჩაბარდა. ამასთან, გასაჩივრებულ განჩინებაში მითითებულია შემდეგი: პალატამ გამოიკვლია რა საქმეში არსებული მასალები და თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიაში, 2012 წლის 29 მაისს 14:00 საათისათვის, შესული კორესპონდენცია, დარწმუნდა, რომ აპელანტს სასამართლოსათვის არ მოუწოდებია ინფორმაცია დაუძლეველი ძალის ან სხვა რაიმე ისეთი მოვლენის შესახებ, რომელსაც შეეძლო, ხელი შეეშალა აპელანტისათვის სასამართლოში დროულად გამოცხადებაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, სასამართლო სხდომაზე აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაზე მსჯელობა და საქმის განახლება უნდა მოხდეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის მიმართ მოქმედი წესების მიხედვით, კერძოდ: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 241-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და საქმის განხილვა განახლდეს, თუ არსებობს 233-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, ან, თუ მხარის გამოუცხადებლობა გამომწვეული იყო სხვა საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძლო, თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება, განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე ან, თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და განცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. ასეთ შემთხვევაში, საქმის განხილვა მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება გადაიდოს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამომწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ანდა შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დანებებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.

კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ იგი სასამართლო სხდომის დღის შესახებ კანონით დადგენილ წესით იყო ინფორმირებული. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავოა ის ფაქტი, უნდა გათვალისწინებინა თუ არა სასამართლოს 2012 წლის 29 მაისს, 15.50 წუთზე, შპს „ა. ს. ჯ-ის“ ადამიანური რესურსებისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის დირექტორის – ლ. გ-ის შუამდგომლობა სხდომის გადადებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო მიუთითებს შემდეგს: სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას და მით უმეტეს ვალდებულებას, ემსჯელა სხდომის გადადების თაობაზე, გამოირიცხავს ის ობიექტური გარემოება, რომ ზემოდასახელებული წერილობითი შუამდგომლობა წარდგენილია სასამართლო სხდომის გამართვის შემდეგ (სხდომა დაიწყო იყო 14.00 საათზე) 15.50 საათზე. თუმცა, აღნიშნული არ გამოირიცხავს საკასაციო სასამართლოს შესაძლებლობას, სწორედ, 2012 წლის 29 მაისს და 2012 წლის 5 ივნისს წარდგენილ განცხადებებსა და თანდართულ საბუთებზე (ჯანმრთელობის შესახებ ცნობების) დაყრდნობით დააკმაყოფილოს კერძო საჩივარი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით დგინდება, რომ სასამართლო სხდომის დღეს შპს „ა. ს. ჯ-ის“ წარმომადგენლები ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ შეძლებდნენ პროცესზე გამოცხადებას, კერძოდ: შპს „ს.ს.ს. ს. კ-ის“ მიერ 2012 წლის 29 მაისს გაცემული №324 ცნობით დასტურდება, რომ ს.ნ-ი გადაიოდა ამბულატორიულ მკურნალობას შპს „ს.ს.ს. ს. კ-ის“ ოტორინარინგოლოგიის დეპარტამენტში, დიაგნოზით ორმხრივი ჩირქოვანი ჰაიმორიტი და იმყოფებოდა ბიულეტენზე. რაც შეეხება, ე. წ. ს, ჯანმრთელობის შესახებ №4256 ცნობით დასტურდება, რომ იგი 2012 წლის 29 მაისს, 09.10 საათზე, შპს „ა. ნ. ყ. ს. ც. ს. კ-ის“ სტაციონარში მოათავსეს დიაგნოზით ბილიარული კოლიკა და ნაღველ-კენჭოვანი დაავადება. ზე-

მოდასახელებული გარემოებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე საპატიო მიზეზს წარმოადგენს და ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს, რომ წარმომადგენლები სხდომაზე განსაკუთრებული ვითარების გამო ვერ გამოცხადდებოდნენ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ა. ს. ჯ-ის“ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის განხილვის მიზნით უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ ბ ი ნ ა:

შპს „სადაზღვევო კომპანია ა. ს. ჯ-ის“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 29 მაისის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3544-შ-71-2012

25 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

საქმის მასალებით დგინდება, რომ ავსტრიის რესპუბლიკის ქ.ვენის შიდა რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით დამტკიცდა ავსტრიის მოქალაქის – ლ. გ. რ-ას მიერ საქართველოს მოქალაქე გ. ა-ის შვილად აყვანა.

ასევე დგინდება, რომ ხსენებული გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის სასამართლოს მიერ მასზე სააღსრულებო ფურცელი არ გაცემულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, ავსტრიის რესპუბლიკის ქ.ვენის შიდა რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა ავსტრიის მოქალაქის – ლ. გ. რ-ას მიერ საქართველოს მოქალაქე გ. ა-ის შვილად აყვანა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა დაკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად ავსტრიის რესპუბლიკის ქ.ვენის შიდა რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დამტკიცდა ავსტრიის მოქალაქის – ლ. გ. რ-ას მიერ საქართველოს მოქალაქე გ. ა-ის შვილად აყვანა.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ა-ის შუამდგომლობა ავსტრიის რესპუბლიკის ქვენის შიდა რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილების (საქმე №2P 227/02a-p) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ავსტრიის რესპუბლიკის ქვენის შიდა რაიონული სასამართლოს 2002 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (საქმე №2P 227/02a-p), რომლითაც დამტკიცდა ავსტრიის მოქალაქის – ლ. გ. რ-ას მიერ საქართველოს მოქალაქე გ. ა-ის შვილად აყვანა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2150-შ-47-2012

24 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: მამობის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

პოლონეთის რესპუბლიკის შ-ის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მ. რ. მ-ი, გვარად მ-ი, ფ-ისა და ე-ს შვილი, დაბადებული 1953 წლის 19 ნოემბერს შ-ში, რომელიც გარდაიცვალა 2008 წლის 17 აგვისტოს შ-ში, არის ქალბატონი ე. ბ-ის, გვარად ლ-ა, ა. ლ-ას ქალიშვილი, დაბადებული წელს საქართველოში, ლ-ის რაიონში, ჩანანერის №1678, მამა.

2012 წლის 22 მაისს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ე. ბ-მა, რომელმაც მოითხოვა ზემოთხეული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ივნისის განჩინებით ე. ბ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ე. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ პოლონეთის რესპუბლიკის შ-ის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მ. რ. მ-ი, გვარად მ-ი, ფ-ისა და ე-ს შვილი, დაბადებული 1953 წლის 19 ნოემბერს შ-ში, რომელიც გარდაიცვალა 2008 წლის 17 აგვისტოს შ-ში, არის ქალბატონი ე. ბ-ის, გვარად ლ-ა, ა. ლ-ას ქალიშვილი, დაბადებული წელს საქართველოში, ლ-ის რაიონში, ჩანანერის №1678, მამა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავდროულად მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, პოლონეთის რესპუბლიკის შ-ის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მ. რ. მ-ი, გვარად მ-ი, ფ-ისა და ე-ს შვილი, დაბადებული 1953 წლის 19 ნოემბერს შ-ში, რომელიც გარდაიცვალა 2008 წლის 17 აგვისტოს შ-ში, არის ქალბატონი ე. ბ-ის, გვარად ლ-ა, ა. ლ-ას ქალიშვილი, დაბადებული წელს საქართველოში, ლ-ის რაიონში, ჩანანერის №1678, მამა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ბ-ის შუამდგომლობა პოლონეთის რესპუბლიკის შ-ის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას პოლონეთის რესპუბლიკის შ-ის მარჯვენა სანაპიროსა და დასავლეთის საოლქო სასამართლოს VIII საოჯახო და არასრულწლოვანთა საკითხების განყოფილების 2011 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდა, რომ მ. რ. მ-ი, გვარად მ-ი, ფ-ისა და ე-ს შვილი, დაბადებული 1953 წლის 19 ნოემბერს შ-ში, რომელიც გარდაიცვალა 2008 წლის .. აგვისტოს შ-ში, არის ქალბატონი ე. ბ-ის, გვარად ლ-ა, ა. ლ-ას ქალიშვილი, დაბადებული წელს საქართველოში, ლ-ის რაიონში, ჩანანერის №1678, მამა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-4209-შ-85-2012

24 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის კიოლნის სამხარეო სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი მოსამართლის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ს. ა-ბ-უსა და ფ. ბ-უს შორის, 2004 წლის 6 ივლისს კიოლნის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 2225/2004.

ს. ა-ბ-უმ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითი თებულის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინებით ს. ა-ბ-უს შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ს. ა-ბ-უს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის კიოლნის სამხარეო სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი მოსამართლის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით გაუქმდა მხარეებს – ს. ა-ბ-უსა და ფ. ბ-უს შორის, 2004 წლის 6 ივლისს კიოლნის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 2225/2004.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის კიოლნის სამხარეო სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი მოსამართლის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა მხარეებს – ს. ა-ბ-უსა და ფ. ბ-უს შორის, 2004 წლის 6 ივლისს კიოლნის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 2225/2004, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ა-ბ-უს შუამდგომლობა გერმანიის კიოლნის სამხარეო სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი მოსამართლის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის კიოლნის სამხარეო სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი მოსამართლის 2012 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა მხარეებს – ს. ა-ბ-უსა და ფ. ბ-უს შორის, 2004 წლის 6 ივლისს კიოლნის მმარის ბიუროს მიერ რეგისტრირებული ქორწინება, სარეგისტრაციო ნომრით 2225/2004.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-4146-შ-83-2012

28 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „უ. ჯ-ს“ შპს „ს-ს. ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა მიწოდებული საქონლის ფასის – 13900 ევროს, საქონლის ფასის გადახდის ვადის გადაცილების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს – 1487,3 ევროს, ვადაგადაცილებული თანხის წლიური 3%-ის – 122,24 ევროსა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 1406,96 ევროს, სულ 16916,50 ევროს ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში შპს „ს-ს. ს. ტ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლომ შუამდგომლობით მომართა შპს „ს-ს. ს. ტ-მა“ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით, ასევე შუამდგომლობაზე დართული საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებითა და მტკიცებულებათა დამოწმებული ასლებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხე მხარეს – შპს „უ. ჯ-ს“ საარბიტრაჟო საქმის განხილვის თაობაზე საქმის მასალები და სასამართლო უწყება არაერთხელ გაეგზავნა მის მიერ მითითებულ, საქართველოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ მისამართსა და საარბიტრაჟო სასამართლოსათვის ცნობილ ალტერნატიულ მისამართზე, თუმცა კორესპოდენციის ჩაბარება ვერ მოხერხდა მოუძიებლობის, მისამართზე არყოფნისა და სხვა-თა გამო.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მე-9 და მე-10 პუნქტებით მხარეებმა, დავის შემთხვევაში, განსაზღვრეს დავის გადაწყვეტის სამართალი და გააფორმეს საარბიტრაჟო შეთანხმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინებით შპს „ს-ს. ს. ტ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, ამასთანავე, საქმეში არსებულ, მონიწილმდგე მხარის სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ მისამართზე სასამართლო შეტყობინების ჩაბარების შეუძლებლობის გამო, შპს „უ. ჯ-ს“ შუამდგომლობის წარმოებაში მიღების თაობაზე ეცნობა სასამართლო შეტყობინების საჯაროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე (www.supremecourt.ge) გამოქვეყნების გზით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ შპს „ს-ს. ს. ტ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „უ. ჯ-ს“ შპს „ს-ს. ს. ტ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა მიწოდებული საქონლის ფასის – 13900 ევროს, საქონლის ფასის გადახდის ვადის გადაცილების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს – 1487,3 ევროს, ვადაგადაცილებული თანხის წლიური 3%-ის – 122,24 ევროსა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 1406,96 ევროს, სულ 16916,50 ევროს ანაზღაურება, დანარჩენ ნაწილში შპს „ს-ს. ს. ტ-ს“ უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის აპოსტილით დამონმებული გადაწყვეტილებით, ასევე შუამდგომლობაზე დართული საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გაცემული ცნობებითა და მტკიცებულებათა დამონმებული ასლებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, შესულია კანონიერ ძალაში, მოპასუხე მხარეს – შპს „უ. ჯ-ს“ საარბიტრაჟო საქმის განხილვის თაობაზე საქმის მასალები და სასამართლო უწყება არაერთხელ გაეგზავნა მის მიერ მითითებულ, საქართველოს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ მისამართსა და საარბიტრაჟო სასამართლოსათვის ცნობილ ალტერნატიულ მისამართზე, თუმცა კორესპოდენციის ჩაბარება ვერ მოხერხდა მოუძიებლობის, მისამართზე არყოფნისა და სხვათა გამო. ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ უკრაინის კანონის 3.1 მუხლის შესაბამისად, ზემოაღნიშნული ადრესატისათვის კორესპოდენციის ჩაბარებას ნიშნავს, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, არ ეწინააღმდეგება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მე-9 და მე-10 პუნქტებით მხარეებმა, დავის შემთხვევაში, განსაზღვრეს დავის გადაწყვეტის სამართალი და გააფორმეს საარბიტრაჟო შეთანხმება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „ს-ს. ს. ტ-ის“ შუამდგომლობა აკმაყოფილებს „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების“ კონვენციის მოთხოვნებს, ხოლო „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 73¹ მუხლის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ხდება „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, ამავე კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია, ამდენად, უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების კონვენციით“, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ს-ს. ს. ტ-ის“ შუამდგომლობა უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად უკრაინის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საერთაშორისო კომერციული საარბიტრაჟო სასამართლოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება შპს „უ. ჯ-სათვის“ შპს „ს. ს. ტ-ის“ სასარგებლოდ მიწოდებული საქონლის ფასის – 13900 ევროს, საქონლის ფასის გადახდის ვადის გადაცილების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს – 1487,3 ევროს, ვადაგადაცილებული თანხის წლიური 3%-ის – 122,24 ევროსა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 1406,96 ევროს, სულ 16916,50 ევროს დაკისრების თაობაზე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-4235-შ-86-2012

28 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

ჟენევის რესპუბლიკისა და კანტონის სასამართლო ხელისუფლების 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით დადასტურდა 1969 წლის 24 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის ქ.ომსკში დაბადებული ს. შ-ას მიერ 2008 წლის 26 ნოემბერს საქართველოში დაბადებული თ. გ-ის შვილად აყვანა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ს. შ-ას წარმომადგენელმა ხ. გ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ არასრულწლოვანი შვილად ასაყვანის მამა, ს. შ-ას მეუღლე – თ. გ-ი, ასევე შვილად აყვანაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ორგანო. ფედერალური სასამართლოს მიერ გაცემული, აპოსტილით დამოწმებული ცნობის თანახმად, გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, ასევე ირკვევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია წინამდებარე დავის მიმართ და მხარის იურიდიული ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ნოემბრის განჩინებით ს. შ-ას შუამდგომლობა ჟენევის რესპუბლიკისა და კანტონის სასამართლო ხელისუფლების 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში, ხოლო შუამდგომლობის ავტორს წარმომადგენლად ხ. გ-ის დაშვებაზე ეთქვა უარი მის მიერ წარმომადგენლის უფლებამოსილების სასამართლოს მიერ დადგენილი წესით დაუდასტურებლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ს. შ-ას შუამდგომლობა ჟენევის რესპუბლიკისა და კანტონის სასამართლო ხელისუფლების 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ჟენევის რესპუბლიკისა და კანტონის სასამართლო ხელისუფლების 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით დადასტურდა 1969 წლის 24 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის ქ.ომსკში დაბადებული ს. შ-ას მიერ 2008 წლის 26 ნოემბერს საქართველოში დაბადებული თ. გ-ის შვილად აყვანა.

საქმეში წარმოდგენილი, აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ არასრულწლოვანი შვილად ასაყვანის მამა, ს. შ-ას მეუღლე – თ. გ-ი, ასევე შვილად აყვანაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ორგანო. ფედერალური სასამართლოს მიერ გაცემული, აპოსტილით დამოწმებული ცნობის თანახმად, გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, ასევე ირკვევა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია წინამდებარე დავის მიმართ და მხარის იურიდიული ინტერესი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითე-

ბული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ჟენევის რესპუბლიკისა და კანტონის სასამართლო ხელისუფლების 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. შ-ას შუამდგომლობა ჟენევის რესპუბლიკისა და კანტონის სასამართლო ხელისუფლების 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად ჟენევის რესპუბლიკისა და კანტონის სასამართლო ხელისუფლების 2012 წლის 30 მაისის გადაწყვეტილება 1969 წლის 24 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის ქომსკში დაბადებული ს. შ-ას მიერ 2008 წლის 26 ნოემბერს საქართველოში დაბადებული თ. გ-ის შვილად აყვანის დადასტურების თაობაზე.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-4751-შ-95-2012

3 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

აშშ-ის მესამე სასამართლო ოლქში უტაჰის შტატის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილებით გ. ნ-ის მოთხოვნა მოპასუხე ს. ლ.-ესთან განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა მეუღლეთა ვალების გასტუმრების საკითხი, ხოლო ქონება განაწილდა მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

სასამართლოს აპოსტილით დამონებული დადგენილების თანახმად, მოპასუხე საქმის განხილვას არ დასწრებია, თუმცა ირკვევა, რომ ის ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, რადგანაც მან ხელი მოაწერა და სასამართლოს ჩააბარა წერილობითი დასტური პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით.

ამავე დადგენილებით ირკვევა, რომ დადგენილება საბოლოოა და ძალაში შედის სასამართლოს მიერ ხელმოწერისთანავე, ხოლო საქმეში წარმოდგენილი საქართველოს პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, ს. ლ-ე საქართველოს მოქალაქეა, რაც ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინებით ს. ლ-ის შუამდგომლობა აშშ-ის მესამე სასამართლო ოლქში უტაჰის შტატის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ს. ლ-ის შუამდგომლობა აშშ-ის მესამე სასამართლო ოლქში უტაჰის შტატის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილების სა-

ქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აშშ-ის მესამე სასამართლო ოლქში უტაჰის შტატის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილებით გ. ნ-ის მოთხოვნა მოპასუხე ს. ლ-ესთან განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა, ამავე გადაწყვეტილებით დადგინდა მეუღლეთა ვალების გასტუმრების საკითხი, ხოლო ქონება განაწილდა მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

სასამართლოს აპოსტილით დამონმებული დადგენილების თანახმად, მოპასუხე საქმის განხილვას არ დასწრებია, თუმცა ირკვევა, რომ ის ინფორმირებული იყო საქმის განხილვის თაობაზე, რადგანაც მან ხელი მოაწერა და სასამართლოს ჩააბარა წერილობითი დასტური პროცესის წარმართვასთან დაკავშირებით.

ამავე დადგენილებით დასტურდება, რომ ის საბოლოოა და ძალაში შედის სასამართლოს მიერ ხელმოწერისთანავე, ხოლო საქმეში წარმოდგენილი საქართველოს პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, ს. ლ-ე საქართველოს მოქალაქეა, რაც ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძვლით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, აშშ-ის მესამე სასამართლო ოლქში უტაჰის შტატის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ლ-ის შუამდგომლობა აშშ-ის მესამე სასამართლო ოლქში უტაჰის შტატის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას აშშ-ის მესამე სასამართლო ოლქში უტაჰის შტატის საოლქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის დადგენილება, რომლითაც გ. ნ-ის მოთხოვნა მოპასუხე ს. ლ-ესთან განქორწინების თაობაზე დაკმაყოფილდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-4713-შ-89-2012

3 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის, ადვოკატის მომსახურების ხარჯებისა და სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. შ-ესა და ი. ე-ს ვ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – 7693750 რუბლის, მორალური ზიანის – 2000000 რუბლისა და იურიდიული მომსახურების ხარჯის – 50000 რუბლის, სულ 9743750 რუბლის გადახდა, მ. შ-ესა და ი. ე-ს ასევე სოლიდარულად დაეკისრათ სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი – 489690 რუბლი და სასამართლო ხარჯები 4910 რუბლი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. გ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე იურიდიული მომსახურების ხარჯების, სულ 9743750 რუბლის მ. შ-ისათვის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ასევე მომართა შუამდგომლობით ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლომ ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იმ ნაწილში აღსასრულებლად მიქცევის თხოვნით, რომლითაც მ. შ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 489690 რუბლისა და სასამართლო ხარჯების – 4910 რუბლის ანაზღაურება.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული ცნობების თანახმად, დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 22 დეკემბერს და ექვემდებარება აღსრულებას, გადაწყვეტილება ამ ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, მ. შ-ე საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ დადგენილი წესით იყო ინფორმირებული, მასვე ჩაბარდა სარჩელის ასლი, სასჯელის მოხდის შემდგომ დაბრუნებულია მისამართზე: საქართველო, ქ.ლაგოდეხი, ჭ-ის ქუჩა, სახლი №56.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 დეკემბრის განჩინებით ვ. გ-ის შუამდგომლობა მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე იურიდიული მომსახურების ხარჯების, სულ 9743750 რუბლის, ასევე ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების სასამართლო ხარჯებისა და სახელმწიფო ბაჟის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ვ. გ-ისა და ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. შ-ესა და ი. ე-ს ვ. გ-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის – 7693750 რუბლის, მორალური ზიანის – 2000000 რუბლისა და იურიდიული მომსახურების ხარჯის – 50000 რუბლის, სულ 9743750 რუბლის გადახდა, მ. შ-ესა და ი. ე-ს ასევე სოლიდარულად დაეკისრათ სახელმწიფოს სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი – 489690 რუბლი და სასამართლო ხარჯები 4910 რუბლი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ვ. გ-მა და მოითხოვა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე იურიდიული მომსახურების ხარჯების, სულ 9743750 რუბლის მ. შ-ისათვის დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ასევე მომართა შუამდგომლობით ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლომ ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და იმ ნაწილში აღსასრულებლად მიქცევის თხოვნით, რომლითაც მ. შ-ეს სახელმწიფოს სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 489690 რუბლისა და სასამართლო ხარჯების – 4910 რუბლის ანაზღაურება.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლოს ბეჭდით დამოწმებული ცნობების თანახმად, დანაშაულით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 22 დეკემბერს და ექვემდებარება აღსრულებას, გადაწყვეტილება ამ ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, მ. შ-ე საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ დადგენილი წესით იყო ინფორმირებული, მასვე ჩაბარდა სარჩელის ასლი, სასჯელის მოხდის შემდგომ დაბრუნებულია მისამართზე: საქართველო, ქ.ლაგოდეხი, ჭ-ის ქუჩა, სახლი №56.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითე-

ბული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება მ. შ-ისათვის ვ. გ-ის სასარგებლოდ მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე იურიდიული მომსახურების ხარჯების, სულ 9743750 რუბლის, ხოლო ბელარუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 489690 რუბლისა და სასამართლო ხარჯების – 4910 რუბლის ანაზღაურების თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. გ-ის შუამდგომლობა მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე იურიდიული მომსახურების ხარჯების, სულ 9743750 რუბლის მ. შ-ისათვის დაკისრების ნაწილში ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს შუამდგომლობა ამავე სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების სასამართლო ხარჯებისა და სახელმწიფო ბაჟის სახელმწიფოს სასარგებლოდ დაკისრების ნაწილში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

3. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად ბელარუსის რესპუბლიკის ბრესტკის მხარის ივანოვსკის რაიონის სასამართლოს 2009 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება მ. შ-ისათვის ვ. გ-ის სასარგებლოდ მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე იურიდიული მომსახურების ხარჯების, სულ 9743750 რუბლის, ხოლო ბელარუსის რესპუბლიკის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის – 489690 რუბლისა და სასამართლო ხარჯების – 4910 რუბლის ანაზღაურების ნაწილში.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-4688-შ-87-2012

11 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. გ-სა და ნ. ბ-ეს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2008 წლის 24 ოქტომბერს და აღსრულდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ე. გ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ე. გ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

2013 წლის 3 იანვარს ნ. ბ-ემ განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამარ-

თლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასთან დაკავშირებით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ნ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ე. გ-სა და ნ. ბ-ეს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2008 წლის 24 ოქტომბერს და აღსრულდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასთან, ნ. ბ-ემ წარმომადგინა თანხმობა იმის თაობაზე, რომ ზემომითითებული გადაწყვეტილება ცნობილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. გ-ის შუამდგომლობა ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების ტეხასის შტატის დალასის საოლქო სასამართლოს 2008 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ე. გ-სა და ნ. ბ-ეს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2877-შ-61-2012

14 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის პირმასენის სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით ნ. ქ-ესა და პ. ჯ. ა-ს შორის დანიაში ტონდერის მმარის ბიუროში 2009 წლის 3 დეკემბერს რეგისტრირებული №6760/2009 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

ნ. ქ-ემ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა პირმასენის სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების (№1F 9/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 ივლისის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა სათანადო მტკიცებულების წარდგენის გზით იმ ფაქტის დადასტურება, რომ მოწინააღმდეგე მხარე – პ. ჯ. ა-ი სათანადოდ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

დადგენილ ვადაში უზენაეს სასამართლოს განცხადებით მომართა ნ. ქ-ის წარმომადგენელმა ე. ნ-ამ და მოითხოვა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადის გონივრულად გაგრძელება, რადგან მხარეს უნდა გა-

მოეთხოვა სათანადო მტკიცებულება გერმანიის ფედერაციიდან და უნდა ეთარგმნა სამართალწარმოების ენაზე, რაც საჭიროებდა დამატებით დროს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივლისის განჩინებით ნ. ქ-ის გაუგრძელდა ვადა ხარვეზის გამოსწორებისათვის. დადგენილ ვადაში ნ. ქ-ის წარმომადგენელმა ე. წ-ამ განცხადებით მომართა უზენაეს სასამართლოს და წარმოადგინა პირმასენის სასამართლოს მიერ გაცემული ცნობა, რომლიდანაც დგინდება, რომ მონინალმდევე მხარე – ჰ. ჯ. ა-ი სათანადოდ იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროისა და ადგილი შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ნ. ქ-ის შუამდგომლობა მიღებული იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. ქ-ის შუამდგომლობა გერმანიის პირმასენის სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების (№1F 9/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის პირმასენის სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილებით (№1F 9/12) ნ. ქ-ესა და ჰ. ჯ. ა-ს შორის დანიაში ტონდერის მმარის ბიუროში 2009 წლის 3 დეკემბერს რეგისტრირებული №6760/2009 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 23 თებერვალს, ასევე დასტურდება, რომ მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ მის განხილვაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის პირმასენის სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება (№1F 9/12) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა:

ნ. ქ-ის შუამდგომლობა გერმანიის პირმასენის სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილების (№1F 9/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის პირმასენის სასამართლოს 2012 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება (№1F 9/12), რომლითაც ნ. ქ-ესა და ჰ. ჯ. ა-ს შორის დანიაში ტონდერის მმარის ბიუროში 2009 წლის 3 დეკემბერს რეგისტრირებული №6760/2009 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-4716-შ-91-2012

21 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით რ. ნ-ის ასული ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა:

გ. ა-ის ძე ს-ს, დაბადებულს 1976 წლის 9 ივლისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ა-ი, რეგისტრირებულს მისამართზე: საქართველოს რესპუბლიკა, სიღნაღის რაიონი, რ. ნ-ის ასული ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანის – 1999 წლის 5 აპრილს დაბადებული ლ. გ-ს ძე ს-ის სარჩენად, მოპასუხის გამომუშავების ან/და სხვა სახის შემოსავლის ნაწილის ოდენობით მის სრულწლოვანებად;

ც. გ-ის ასულ თ-ს, დაბადებულს 1982 წლის 11 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, დედოფლისწყაროს რაიონში, რეგისტრირებულს მისამართზე: საქართველოს რესპუბლიკა, სიღნაღის რაიონი, რ. ნ-ის ასული ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანის – 1999 წლის 5 აპრილს დაბადებული ლ. გ-ს ძე ს-ის სარჩენად, მოპასუხის გამომუშავების ან/და სხვა სახის შემოსავლის ნაწილის ოდენობით მის სრულწლოვანებად;

დადგინდა, რომ დაკისრებული თანხის გადახდა მოხდეს ყოველთვიურად, 2011 წლის 28 მარტიდან;

გ. ა-ის ძე ს-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუსული რუბლის ოდენობით;

ც. გ-ის ასულ თ-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუსული რუბლის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობებით მომართეს რ. ნ-ის ასულმა ს-მა და რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელმა მოსამართლემ რ. ს-მა მოითხოვა ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსასრულებლად მიქცევა მოპასუხეთათვის მის სასარგებლოდ ალიმენტის დაკისრების ნაწილში. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის მოთხოვნას, იგი შუამდგომლობით მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეებს დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 დეკემბრის განჩინებით რ. ნ-ის ასული ს-ისა და რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ რ. ნ-ის ასული ს-ისა და რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით რ. ნ-ის ასული ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა:

გ. ა-ის ძე ს-ს, დაბადებულს 1976 წლის 9 ივლისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ა-ი, რეგისტრირებულს მისამართზე: საქართველოს რესპუბლიკა, სიღნაღის რაიონი, რ. ნ-ის ასული ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანის – 1999 წლის 5 აპრილს დაბადებული ლ. გ-ს ძე ს-ის სარჩენად, მოპასუხის გამომუშავების ან/და სხვა სახის შემოსავლის ნაწილის ოდენობით მის სრულწლოვანებად;

ც. გ-ის ასულ თ-ს, დაბადებულს 1982 წლის 11 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, დედოფლისწყაროს რაიონში, რეგისტრირებულს მისამართზე: საქართველოს რესპუბლიკა, სიღნაღის რაიონი, რ. ნ-ის ასული ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანის – 1999 წლის 5 აპრილს დაბადებული ლ. გ-ს ძე ს-ის სარჩენად, მოპასუხის გამომუშავების ან/და სხვა სახის შემოსავლის ნაწილის ოდენობით მის სრულწლოვანებად;

დადგინდა, რომ დაკისრებული თანხის გადახდა მოხდეს ყოველთვიურად, 2011 წლის 28 მარტიდან;

გ. ა-ის ძე ს-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუსული რუბლის ოდენობით;

ც. გ-ის ასულ თ-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუსული რუბლის ოდენობით.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 19 ივნისს. ამასთან, იგი რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 18 მაისის ზემოთითხებული გადაწყვეტილება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველი, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ უნდა იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა:

1. რ. ნ-ის ასული ს-ისა და რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის შუამდგომლობები რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის სვერდლოვის ოლქის ტაბორინსკის რაიონის №1 სასამართლო უბნის მომრიგებელი მოსამართლის 2012 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც რ. ნ-ის ასული ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა:

გ. ა-ის ძე ს-ს, დაბადებულს 1976 წლის 9 ივლისს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ა-ი, რეგისტრირებულს მისამართზე: საქართველოს რესპუბლიკა, სიღნაღის რაიონი, რ. ნ-ის ასული ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანის – 1999 წლის 5 აპრილს დაბადებული ლ. გ-ს ძე ს-ის სარჩენად, მოპასუხის გამომუშავების ან/და სხვა სახის შემოსავლის ნაწილის ოდენობით მის სრულწლოვანებამდე;

ც. გ-ის ასულ თ-ს, დაბადებულს 1982 წლის 11 დეკემბერს, მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკაში, დედოფლისწყაროს რაიონში, რეგისტრირებულს მისამართზე: საქართველოს რესპუბლიკა, სიღნაღის რაიონი, რ. ნ-ის ასული ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი არასრულწლოვანის – 1999 წლის 5 აპრილს დაბადებული ლ. გ-ს ძე ს-ის სარჩენად, მოპასუხის გამომუშავების ან/და სხვა სახის შემოსავლის ნაწილის ოდენობით მის სრულწლოვანებამდე;

დადგინდა, რომ დაკისრებული თანხის გადახდა მოხდეს ყოველთვიურად, 2011 წლის 28 მარტიდან;

გ. ა-ის ძე ს-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუსული რუბლის ოდენობით;

ც. გ-ის ასულ თ-ს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 რუსული რუბლის ოდენობით;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2376-შ-52-2012

28 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავეძე

განხილვის საგანი: გერმანიის ქ.ვისბადენის სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილების 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ.ვისბადენის სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილების 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი 1998 წლის 28 აგვისტოს ქ.ბენსხაიმის მმარის განყოფილების მიერ მხარეებს – ნ. შ-სა და ფ. შ-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება (რეგისტრაციის ნომერი 140).

ნ. შ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ნ. შ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

2013 წლის 23 იანვარს ნ. შ-მა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განცხადება წარმოადგინა, რომლითაც მან უარი თქვა ხსენებულ შუამდგომლობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო სამართალწარმოებაში მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, რაც ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას, შეხედულებისამებრ განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს ცნოს სარჩელი, ხოლო 399-ე მუხლის თანახმად, საქმის (მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის) განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემომითითებული ნორმების დანაწესები უნდა გავრცელდეს ასევე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ შუამდგომლობის მიმართაც.

მოცემულ შემთხვევაში ნ. შ.-მა შუამდგომლობაზე უარის თქმით მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოაღნიშნული მე-3 მუხლით მინიჭებული საპროცესო უფლების რეალიზაცია, რაც სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, როგორც პროცესის მონაწილე მხარის ნების გამოვლენა, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ნ. შ.-მა უარი განაცხადა შუამდგომლობის განხილვაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილ შუამდგომლობაზე წარმოება უნდა შეწყდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე-273-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ნ. შ.-ის განცხადება დაკმაყოფილდეს;
2. შეწყდეს წარმოება საქმეზე ნ. შ.-ის შუამდგომლობისა გამო გერმანიის ქ.ვისბადენის სასამართლოს საოჯახო საქმეების განმხილველი განყოფილების 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ;
3. განემარტოს მხარეს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით არ შეიძლება;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაჯის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-4812-შ-99-2012

4 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით 2006 წლის 22 სექტემბერს ფულდას მმარის ბიუროს მოხელის წინაშე რეგისტრირებული ო. კ-სა და ტ. კ-ის №334/2006 ქორწინება გაუქმდა, მეუღლეთა ვალდებულებების განაწილების საკითხი არ განხილულა, ხოლო სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბარწილად დაეკისრა.

საქმეში წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით და დასტურდება საქმის განხილვის თაობაზე მხარეთა ინფორმირების ფაქტი, ირკვევა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 5 აპრილიდან. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, ასევე ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა. ტ. კ-ის განმარტებით დასტურდება სასამართლოსათვის წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით მომართვის საფუძველი – სამოქალაქო რეესტრში გადაწყვეტილების რეგისტრაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 დეკემბრის განჩინებით ტ. კ-ის წარმომადგენელ მ. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ტ. კ-ის წარმომადგენელ მ. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი აპოსტილით დამონმებული სასამართლო გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენით, შესაბამისად, დასტურდება საქმის განხილვის თაობაზე მხარეთა ინფორმირების ფაქტი, ირკვევა, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული 2012 წლის 5 აპრილიდან.

შუამდგომლობის ავტორის განმარტებით, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულებულია, ასევე ირკვევა, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა. ტ. კ-ის განმარტებით დასტურდება ის გარემოებაც, რომ სასამართლოსათვის წინამდებარე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მოთხოვნით მომართვის საფუძველი – სამოქალაქო რეესტრში გადაწყვეტილების რეგისტრაციაა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 პუნქტით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. კ-ის წარმომადგენელ მ. ფ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ფულდას სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც 2006 წლის 22 სექტემბერს ფულდას მმარის ბიუროს მონხელის წინაშე რეგისტრირებული ო. კ.-სა და ტ. კ.-ის №334/2006 ქორწინება გაუქმდა, მეუღლეთა ვალდებულებების განაწილების საკითხი არ განხილულა, ხოლო სასამართლო ხარჯები მხარეებს თანაბარწილად დაეკისრათ.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3966-შ-80-2012

4 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: არასრულწლოვნისათვის მზრუნველობის დანესება

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ქ.-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ნ. ს. ასულ ნ.-სა და კ. გ. ძე ც.-ის არასრულწლოვან შვილ გ. ც.-ის დაუნესდა მზრუნველობა და ბავშვის მზრუნველად დაინიშნა დ. ქ.-ი, ბებია დედის მხრიდან. ამავე გადაწყვეტილებით სასამართლომ დანიშნა მზრუნველობის საზედამხედველო საბჭოს წევრებიც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დ. ქ.-მა და მოითხოვა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ქ.თესსალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილების თარგმანითა და სხვა მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მზრუნველობის დანესების შესახებ განცხადება განხილულ იქნა უდავო წარმოების წესით, ღია სასამართლო სხდომაზე და საქმის განხილვაში მონაწილეობდა განმცხადებელი წარმომადგენლის მეშვეობით, ამავე გადაწყვეტილების თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ არასრულწლოვან გ. ც.-ის დედა – ნ. ნ.-ი გარდაცვლილია, მამა – გ. ც.-სი არ ახორციელებს მშობლის უფლება-მოვალეობებს, მან დატოვა საბერძნეთი და მისი მისამართი უცხოეთში უცნობია, ასევე დასტურდება, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობდა გ. ც.-ის ბებია მამის მხრიდან – ხ. ც.-სი.

საქმეში წარმოდგენილი საბერძნეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, არ გასაჩივრებულა, ხოლო ქ.თესსალონიკის მერიის სარ-ის სამსახურის მიერ გაცემული დაბადების სააქტო ჩანაწერის თანახმად, არასრულწლოვანი გ. კ. ძე ც.-სი დაბადებულია საბერძნეთში.

ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე შუამდგომლობის ავტორმა დაადასტურა მოცემულ საქმესთან მიმართებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და საქმის განხილვის იურიდიული ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით გ. ც.-ის მზრუნველ დ. ქ.-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ც.-ის მზრუნველ დ. ქ.-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დ. ქ.-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ნ. ს. ასულ ნ.-სა და კ. გ. ძე ც.-ის არასრულწლოვან შვილ გ. ც.-ის დაუნესდა მზრუნველობა და ბავშვის მზრუნველად დაინიშნა დ. ქ.-ი, ბებია დედის მხრიდან. ამავე გადაწყვეტილებით სასამართლომ დანიშნა მზრუნველობის საზედამხედველო საბჭოს წევრებიც.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი ქ.თესსალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილების თარგმანითა და სხვა მტკიცებულებებით დასტურდება,

რომ მზრუნველობის დანებს შესახებ განცხადება განხილულ იქნა უდავო წარმოების წესით, ღია სასამართლო სხდომაზე და საქმის განხილვაში მონაწილეობდა განმცხადებელი წარმომადგენლის მეშვეობით, ამავე გადაწყვეტილების თანახმად, საქმის განმხილველმა სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ არასრულწლოვან გ. ც-ის დედა – ნ. ნ-ი გარდაცვლილია, მამა – გ. ც-სი არ ახორციელებს მშობლის უფლება-მოვალეობებს, მან დატოვა საბერძნეთი და მისი მისამართი უცხოეთში უცნობია, ასევე დასტურდება, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობდა გ. ც-ის ბებია მამის მხრიდან – ხ. ც-სი.

საქმეში წარმოდგენილი საბერძნეთის იუსტიციის სამინისტროს მიერ გაცემული ცნობის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს, არ გასაჩივრებულა, ხოლო ქ.თესსალონიკის მერიის სარ-ის სამსახურის მიერ გაცემული დაბადების სააქტო ჩანაწერის თანახმად, არასრულწლოვანი გ. კ. ძე ც-სი დაბადებულია საბერძნეთში.

სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებასაც მხარე მოითხოვს დადასტურებულია საქმის განმხილველი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად საქმის განხილვის წესის დაცვა, სასამართლოს მითითებით, განცხადება შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ჩატარებულია წინასასამართლო პროცედურა და განცხადების ასლი ჩაბარდა ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორს.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა დ. ქ-მა და ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოითხოვა, მანვე დაადასტურა საქმის საქართველოს ტერიტორიაზე განხილვის იურიდიული ინტერესი, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია თანახმად „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლისა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. გ. ც-ის მზრუნველ დ. ქ-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. ქ-ის განცხადება დაკმაყოფილდა, ნ. ს. ასულ ნ-სა და კ. გ. ძე ც-ის არასრულწლოვან შვილ გ. ც-ის დაუნესდა მზრუნველობა და ბავშვის მზრუნველად დაინიშნა დ.ქ-ი, ბებია დედის მხრიდან.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-404-შ-4-2013

11 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

მოსამართლე ბ. ალავიძე

დავის საგანი: დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენით მ. რ-ი და ა. ი-ი ცნობილ იქნენ დამნაშავედ და დაზარალებული ტ. ე-ას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრა 65405 გრივნისა და 50 კაპიკის ანაზღაურება.

უკრაინის ოდესის ოლქის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2008 წლის 15 ივლისის განჩინებით კი, ძალაში დარჩა ზემოაღნიშნული განაჩენი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ტ. ე-ამ და მოითხოვა თანხის დაკისრების ნაწილში უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულება.

შუამდგომლობაზე დართული ცნობის თანახმად, განაჩენი კანონიერ ძალაშია შესული 2008 წლის 15 ივლისს და ექვემდებარება აღსრულებას, თანხის დაკისრების ნაწილში ის უკრაინის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა და განაჩენი კანონით დადგენილი წესით გაეცნო ა. ი-ს.

საქმეში წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამონშებული განაჩენითა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებით დასტურდება, რომ სისხლის სამართლის საქმე განხილულია ზეპირი მოსმენით და საქმის განხილვაში მონაწილეობა მიღებული აქვთ განსასჯელებს, ამასთანავე, სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას წარმოადგენს ის, რომ განსასჯელი მ. რ-ი უკრაინის, ხოლო ა. ი-ი საქართველოს მოქალაქეა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ შუამდგომლობას და თანდართულ მასალებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული შუამდგომლობა თანხის ა. ი-ის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის, 70-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 71-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნას წარმოებაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქმის ზეპირი განხილვა არ მოხდება, თუ მხარეები ამას არ მოითხოვენ. მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. მას აგრეთვე უნდა განემარტოს, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს.

რაც შეეხება ტ. ე-ას შუამდგომლობას მ. რ-ის მიმართ, საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნაწილში შუამდგომლობას უარი უნდა ეთქვას წარმოებაში მიღებაზე შემდეგი გარემოებების გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო, ხოლო გადაწყვეტილების აღსრულების მიმართ, ამავე კანონის 70-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია, რომ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობასა და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვალდებულება, შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენითა და ამ განაჩენის უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებით დადგენილია, რომ განსასჯელი მ. რ-ი უკრაინის მოქალაქეა.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს სასამართლოს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ვინაიდან მ. რ-ი არ არის საქართველოს მოქალაქე, ამასთან, არ ირკვევა საქართველოს სასამართლოების კომპეტენცია კანონით გათვალისწინებული რომელიმე სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, წინამდებარე შუამდგომლობა მ. რ-ის მიმართ მიიღოს განსახილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. ე-ას შუამდგომლობა ა. ი-ის მიმართ 65405 გრივნისა და 50 კაპიკის დაკისრების ნაწილში უკრაინის ქ.ოდესის სუვერენსკის რაიონის სასამართლოს 2007 წლის 3 დეკემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ მიღებულ იქნას განსახილველად.
2. შუამდგომლობა და თანდართული მასალები გაეგზავნოს მონინალმდეგე მხარეს.
3. მასვე განემართოს, რომ მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის განმავლობაში აქვს თავისი აზრის გამოთქმის უფლება, ასევე მას შეუძლია მოითხოვოს საქმის ზეპირი განხილვა.
4. საქმის განხილვა დაინიშნოს ზეპირი მოსმენის გარეშე.
5. ტ. ე-ას შუამდგომლობას მ. რ-ის მიმართ ამავე განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უარი ეთქვას წარმოებაში მიღებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის არარსებობის გამო.
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-3425-შ-68-2012

11 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

შუამდგომლობის ავტორის მოთხოვნა: სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ); ამავე სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილების (მოპასუხისა და მისი ქონების ძებნის თაობაზე) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) დაკმაყოფილდა შპს „მ. გ-ის“ შუამდგომლობა (საქმეზე EKD1276/02/09, შპს „მ. გ-ის“ სარჩელისა გამო) სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე; სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნის – 1865854206.3 დრამის ფარგლებში დაყადაღებულ იქნა მოპასუხის – შპს „კ-ის“ ქონება და ფულადი სახსრები.

სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით (მოპასუხისა და მისი ქონების ძებნის, აგრეთვე საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე) შპს „მ. გ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; გამოცხადებულ იქნა შპს „კ-სა“ და მისი ქონების (უკანასკნელი ინფორმაციით მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, ვ-ის ქუჩა 40; ქ.თბილისი, დ-ის 20ა) ძებნა; ამავედროულად, დადგინდა საქართველოს კომპეტენტური სასამართლოსათვის მომართვა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებისა და სომხეთის რესპუბლიკის პროცესუალური ნორმების შესაბამისად; შეჩერდა აღნიშნული სამოქალაქო საქმის წარმოება მოპასუხისა და მისი ქონების აღმოჩენამდე.

სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით (დავალეების მიღებაზე უფლებამოსილი სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ შუამდგომლობის განხილვის თაობაზე) დადგინდა, რომ საქართველოს უფლებამოსილ სასამართლოში აღიძრას სარჩელის უზრუნველყოფისათვის ზომების მიღების შესახებ შუამდგომლობა, რომელიც დაყენებულ იქნა 2009 წლის 26 ივნისს, სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამასთან, დადგინდა, რომ ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება მოპასუხისა და მი-

სი ქონების ძეგლის გამოცხადებას, ხოლო მიღებული ზომებისა და ინფორმაციის შესახებ ეცნობოს სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომართვის საფუძველზე საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადმოიგზავნა სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროდან შემოსული კომპეტენტური სასამართლოს შუამდგომლობა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ:

სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) დაკმაყოფილდა შპს „მ. გ-ის“ შუამდგომლობა (საქმეზე EKD1276/02/09, შპს „მ. გ-ის“ სარჩელისა გამო) სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე; სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნის – 1865854206.3 დრამის ფარგლებში დაყადაღებულ იქნა მოპასუხის – შპს „კ-ის“ ქონება და ფულადი სახსრები;

სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით (მოპასუხისა და მისი ქონების ძეგლის, აგრეთვე საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე) შპს „მ. გ-ის“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; გამოცხადებულ იქნა შპს „კ-სა“ და მისი ქონების (უკანასკნელი ინფორმაციით მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, ჰ-ის ქუჩა 40; ქ.თბილისი, დ-ის 20 ა) ძეგნა; ამავდროულად, დადგინდა საქართველოს კომპეტენტური სასამართლოსათვის მომართვა გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებისა და სომხეთის რესპუბლიკის პროცესუალური ნორმების შესაბამისად; შეჩერდა აღნიშნული სამოქალაქო საქმის წარმოება მოპასუხისა და მისი ქონების აღმოჩენამდე;

სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილებით (დავალეების მიღებაზე უფლებამოსილი სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ შუამდგომლობის განხილვის თაობაზე) დადგინდა, რომ საქართველოს უფლებამოსილ სასამართლოში აღიძრას სარჩელის უზრუნველყოფისათვის ზომების მიღების შესახებ შუამდგომლობა, რომელიც დაყენებულ იქნა 2009 წლის 26 ივნისს, სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. ამასთან, დადგინდა, რომ ცნობილ იქნეს და მიექცეს აღსასრულებლად 2012 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება მოპასუხისა და მისი ქონების ძეგლის გამოცხადებას, ხოლო მიღებული ზომებისა და ინფორმაციის შესახებ ეცნობოს სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს;

სომხეთის რესპუბლიკის კომპეტენტური სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ცნობით ირკვევა, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილებები შესულია კანონიერ ძალაში და ისინი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღსრულებული არ არის.

უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხს აწესრიგებს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. მითითებული კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. აღნიშნული კანონის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის მე-2 ნაწილის თანახმად, აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმებში მითითებული გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. გარდა ამისა, ზემოხსენებული გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება შეესაბამება ასევე „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციისა და საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის „სამოქალაქო სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ“ ხელშეკრულების დებულებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების (სარჩელის უზ-

რუნველყოფის შესახებ) და ამავე სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილების (მოპასუხისა და მისი ქონების ძებნის თაობაზე) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სომხეთის რესპუბლიკის კომპეტენტური სასამართლოს შუამდგომლობა ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების (სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ) და ამავე სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილების (მოპასუხისა და მისი ქონების ძებნის თაობაზე) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად:

ა) სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „მ. გ-ის“ შუამდგომლობა (საქმეზე EKD1276/02/09, შპს „მ. გ-ის“ სარჩელისა გამო) სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე და სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნის – 1865854206.3 დრამის ფარგლებში დაყადაღებულ იქნა მოპასუხის – შპს „კ-ის“ ქონება და ფულადი სახსრები;

ბ) სომხეთის რესპუბლიკის ქ.ერევნის კენტრონისა და ნორკ-მარაშის ადმინისტრაციული რაიონების საერთო იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის დადგენილება, რომლითაც დაკმაყოფილდა შპს „მ. გ-ის“ შუამდგომლობა და გამოცხადდა მოპასუხე შპს „კ-სა“ და მისი ქონების (უკანასკნელი ინფორმაციით მდებარე მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, პ-ის ქუჩა 40; ქ.თბილისი, დ-ის 20ა) ძებნა.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-4678-შ-88-2012

11 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავეიძე

შუამდგომლობის ავტორთა მოთხოვნა: დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების (მოპასუხე ვ. გ-ას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით მოსარჩელების - „ო. ი. ი. მ. ლ-ის“, „ო. ს. ლ-სა“ და სს „ო. ფ. ქ-ის“ (მოსარჩელების) განცხადების საფუძველზე მიღებულ იქნა განკარგულება მოპასუხე ვ. გ-ას წინააღმდეგ ქონების დაყადაღების შესახებ.

მოსარჩელების – „ო. ი. ი. მ. ლ-ის“, „ო. ს. ლ-სა“ და სს „ო. ფ. ქ-ის“ წარმომადგენელმა გ. გ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთხსენებული ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ „ო. ი. ი. მ. ლ-ის“, „ო. ს. ლ-სა“ და სს „ო. ფ. ქ-ის“ წარმომადგენლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დგინდება, რომ დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის მოსამართლე თიარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანებით, მოსარჩელების – „ო. ი. ი. მ. ლ-ის“, „ო. ს. ლ-სა“ და სს „ო. ფ. ქ-ის“ განცხადების საფუძველზე, მიღებულ იქნა განკარგულება მოპასუხე ვ. გ-ას წინააღმდეგ ქონების დაყადაღების შესახებ.

მოსამართლე თიარის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების აღსრულების მოწმობით დგინდება, რომ ეს ბრძანება ექვემდებარება აღსრულებას მოპასუხე ვ. გ-ას მიმართ.

ზემოსხენებული ბრძანების დანართი „ბ-ს“ მე-8 პარაგრაფში შეტანილი ცვლილების მიხედვით, მოსარჩელებს შეუძლიათ განახორციელონ 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოში აღიარების და/ან აღსრულების პროცედურა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული გადაწყვეტილების ცნობის დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამავდროულად, არსებობს დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევის კანონით გათვალისწინებული საფუძველიც, კერძოდ, შუამდგომლობა აკმაყოფილებს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „ო. ი. ი. მ. ლ-ის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია), „ო. ს. ლ-სა“ და სს „ო. ფ. ქ-ის“ (რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომპანია) წარმომადგენლის გ. გ-ის შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. „ო. ი. ი. მ. ლ-ის“ (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დაფუძნებული კომპანია), „ო. ს. ლ-სა“ და სს „ო. ფ. ქ-ის“ (რუსეთის ფედერაციაში დაფუძნებული კომპანია) წარმომადგენლის გ. გ-ის შუამდგომლობა დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლოს პირველი ინსტანციის სამეფო სასამართლოს განყოფილების კომერციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 16 მარტის ბრძანება მოპასუხე ვ. გ-ას ქონების დაყადაღების შესახებ, კერძოდ, მითითებული ბრძანების შემდეგი პარაგრაფები:

3. სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების მიღებამდე, მოპასუხე ვ. გ-ას ეკრძალება ქვემოთმოცემული ქონების რაიმე სახით განკარგვა ან ღირებულების შემცირება:

3.2. 160 000 000 აშშ დოლარი, რაც წარმოადგენს ცნობილ თანხას, დაკავშირებულს 2011 წლის 14-დან 18 მარტამდე პერიოდში მეორე მოსარჩელის („ო. ს. ლ-იდ“) მიერ ან მისი სახელით ა. ქ. პ. ე-ის (ადმანტ) გადახდილ 213 468 750 აშშ დოლარის თანხასთან; ან

3.3. ზემოსხენებული თანხიდან მიღებული ნებისმიერი შემოსავალი ან მოგება, რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

3.3.1. ზემოსხენებული თანხის ან მისი ნაწილის საშუალებით შექმნილ ნებისმიერ აქტივს;

3.3.2. ზემოსხენებული თანხიდან წარმოშობილ ნებისმიერ პროცენტს, შემოსავალს ან დივიდენდს.

6. სასამართლოს მიერ მომდევნო ბრძანების გაცემამდე, მოპასუხე ვ. გ-ას ეკრძალება ინგლისის ან უელსის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ არსებული 160 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ნებისმიერი აქტივის ღირებულების შემცირება.

7. პარაგრაფი 6 გამოიყენება მოპასუხე ვ. გ-ას აქტივებთან მიმართებაში განურჩევლად იმისა, რეგისტრირებულია თუ არა ისინი მის სახელზე, ფლობს თუ არა მათ მოპასუხე და აქვს თუ არა მოპასუხეს კანონიერი, ბენეფიციალური თუ სხვაგვარი დაინტერესება ამ აქტივებთან დაკავშირებით. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის მოპასუხის აქტივები მოიცავს ნებისმიერ აქტივს, რომლის პირდაპირ თუ არაპირდაპირ განკარგვის უფლება გააჩნია მოპასუხეს, ან რომლის განკარგვაც მას შეუძლიათ როგორც საკუთარი აქტივებისა. ჩაითვლება, რომ მოპასუხეს აქვს ასეთი უფლებამოსილება, თუ მესამე პირი ფლობს ან აკონტროლებს აქტივს მოპასუხის პირდაპირი ან არაპირდაპირი ინსტრუქციების შესაბამისად.

8. ეს აკრძალვა მოიცავს შემდეგ აქტივებს:

8.1. წინამდებარე ბრძანების დანართ ბნ-ში განსაზღვრულ შემდეგ აქტივებს:

1. ნებისმიერი დაინტერესება შემდეგ ქონებაში:

ა. ქონება ლონდონში (მისამართი უცნობია);

ბ. ქონება საქართველოში, თბილისი, 0179, ფ-ის 32, ბინა №27;

2. ნებისმიერი წილი ან ინტერესი შემდეგ კომპანიებში:

ა. თ. ქ. ლ-ი;

ბ. K. შ-გ;

გ. ტ. ი. ლ-დ;

3. ნებისმიერი თანხა ან ინტერესი შემდეგ ანგარიშებთან დაკავშირებით:

თ. ქ. ლ-იდ

ა. ანგარიშის №... Clariden Leu Bahamas;

ბ. ანგარიშის №..., ლ. ბ-ი, „საქართველო“;

თ. ი. ლ-იდ

ა. ანგარიშის ნომერი ... Clariden Leu Zurich;

ბ. ანგარიშის ნომერი ... Clariden Leu Zurich;

K. შ-გ

ა. Account Alpha Bank Cyprus Limited;

ჟ. ქ. ლ-იდ

ა. ING Bank Slaski SA, ანგარიშის №...;

ბ. Raiffeisen Zent, Vienna, ანგარიშის №...;

გ. Raiffeisen Zent, Vienna, ანგარიშის №....

4. ნებისმიერი დაინტერესება მოძრავ ქონებაში: Aston Martin Motor car;

5. ნებისმიერი წილის ან სხვა ინტერესი შემდეგ კომპანიებში:

ა. ბ. ლ-იდ;

6. ნებისმიერი თანხა ან სხვა ინტერესი შემდეგ ანგარიშებზე:

თ. გ-ა

ა. ანგარიშის ნომერი ... – Barclay Bank Seychelles ბ. ლ-იდ;

ბ. ანგარიშის ნომერი ... – Barclay Bank Seychelles;

8.2. ტრასტის ან მსგავსი სამართლებრივი სუბიექტის მეშვეობით მიღებული პროცენტი (ინტერესი), მათ შორის, ნებისმიერი ინტერესი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დანიშვნის, დისკრეციის ან სხვაგვარი უფლებამოსილების გამოყენების შედეგად.

(1) თუ ინგლისში და უელსში განთავსებული მოპასუხის ყოველგვარი დატვირთვისაგან და სხვა უზრუნველყოფისაგან თავისუფალი აქტივების საერთო ღირებულება (დაუტვირთავის ღირებულება) აჭარბებს 160 მილიონ აშშ დოლარს, მოპასუხეს შეუძლია გაიტანოს ნებისმიერი ასეთი აქტივი ინგლისიდან და უელსიდან ან განკარგოს ისინი იმის გათვალისწინებით, რომ ამ მოპასუხის ინგლისში და უელსში დარჩენილი აქტივების საერთო დაუტვირთავი ღირებულება აღემატება 160 მილიონ აშშ დოლარს.

(2) თუ ინგლისში განთავსებული მოპასუხის აქტივების მთლიანი დაუტვირთავი ღირებულება არ აღემატება 160 მილიონ აშშ დოლარს, მას ეკრძალება რომელიმე ასეთი აქტივის გატანა ინგლისიდან და უელსიდან ან მათი რაიმე სახით განკარგვა. თუ მოპასუხეს აქვს სხვა აქტივები ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ, მას შეუძლია ასეთი აქტივების განკარგვა ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ იმ პირობით, რომ (ი) ისინი არ არის გათვალისწინებული მე-3 პარაგრაფით და (იი) ინგლისში და უელსში ან მის ფარგლებს გარეთ არსებული ყველა აქტივის საერთო დაუტვირთავი ღირებულება აღემატება 160 მილიონ აშშ დოლარს.

11. გამონაკლისები

(1) ეს ბრძანება არ უკრძალავს მოპასუხე ვ. გ-ას საცხოვრებელი ხარჯების სახით დახარჯოს კვირაში 1000 ფუნტი სტერლინგი, ასევე მას შეუძლია გაიღოს გონივრული თანხა იურიდიული კონსულტაციისათვის და მისი ინტერესების წარმოდგენისათვის იმის გათვალისწინებით, რომ:

(ა) ასეთი ხარჯები არ გაიღება ზემოხსენებულ მე-3 პარაგრაფში განსაზღვრული ქონების დაყადაღების ბრძანების შესაბამისად დაყადაღებული ფულიდან და/ან აქტივებიდან; და

(ბ) ნებისმიერ შემთხვევაში, ხარჯების გაღებამდე მოპასუხე ვალდებულია შეატყობინოს მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს ფულის წარმომავლობის შესახებ.

(2) წინამდებარე ბრძანება არ უკრძალავს მოპასუხე ვ. გ-ას მისი აქტივების რაიმე სახით განკარგვას საქმიანობის ჩვეული წესით წარმოების პროცესში, გარდა იმ ფულისა და/ან აქტივების განკარგვისა, რომელიც დაყადაღებულია ზემოხსენებულ მე-3 პარაგრაფში განსაზღვრული ქონების დაყადაღების შესახებ ბრძანების შესაბამისად. ნებისმიერ შემთხვევაში, ფულის და/ან აქტივების საქმიანობის ჩვეული წესით წარმოების პროცესში განკარგვამდე მოპასუხემ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს.

(3) მოპასუხეს შეუძლია შეუთანხმდეს მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებს ზემოთ განსაზღვრული სახარჯო ფულის ოდენობის გაზრდაზე ან წინამდებარე ბრძანებაში რაიმე სხვა სახის ცვლილებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერი ასეთი შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით.

(4) ბრძანება დაკარგავს ძალას მოპასუხის წინააღმდეგ, თუ მოპასუხე:

(ა) წარმოადგენს უზრუნველყოფას 160 მილიონი აშშ დოლარის სასამართლოსათვის გადახდის გზით, რომელიც იქნება სასამართლოს განკარგულებაში; ან

(ბ) იმავე თანხის უზრუნველყოფას წარმოადგენს მოსარჩელეთა კანონიერ წარმომადგენლებთან შეთანხმებული სხვა საშუალებით.

14. მოპასუხე ვ. გ-ამ, რომელსაც უბრძანეს არ განახორციელოს ესა თუ ის ქმედება, არ უნდა განახორციელოს ასეთი ქმედება არც პირადად და არც რაიმე სხვა გზით. მან არ უნდა განახორციელოს ასეთი ქმედება იმ პირთა საშუალებით, რომლებიც მოქმედებენ მისი სახელით ან მისი ინსტრუქციების შესაბამისად ან მისი ნახალისებით.

17. წინამდებარე ბრძანება არ ზღუდავს ნებისმიერ ბანკს გამოიყენოს ჩათვლის უფლება, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს წინამდებარე ბრძანების შესახებ შეტყობინების მიღებამდე მოპასუხისათვის გაცემულ რომელიმე კრედიტთან დაკავშირებით.

18. არც ერთ ბანკს არ ესაჭიროება მოპასუხის მიერ ფულის გამოტანასთან დაკავშირებული განცხადების შესახებ ინფორმაციის მოძიება, თუ ასეთი გამოტანა ნებადართულია წინამდებარე ბრძანებით.

19. ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ არსებული პირები

(1) გარდა ქვემოთმოცემულ მე-2 პარაგრაფში განსაზღვრულისა, ამ ბრძანების პირობები არ მოახდენს გავლენას რომელიმე პირზე, რომელიც არ ექვემდებარება ამ სასამართლოს იურისდიქციას.

(2) წინამდებარე ბრძანების პირობები ძალაშია ამ სასამართლოს იურისდიქციის გარეთ მყოფი შემდეგი პირებისათვის:

(ა) მოპასუხე ან მინდობილობის საფუძველზე მოქმედი მისი თანამდებობის პირები ან აგენტები;

(ბ) ნებისმიერი პირი:

(i) რომელიც ექვემდებარება ამ სასამართლოს იურისდიქციას;

(ii) რომელმაც ამ სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში მიიღო წერილობითი შეტყობინება ამ ბრძანების შესახებ თავის საცხოვრებელ ან სამუშაო მისამართზე;

(iii) რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს ქმედებას ან უმოქმედობას ამ იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოადგენს ან ხელს უწყობს ამ ბრძანების პირობების დარღვევას და

(გ) ნებისმიერი სხვა პირი იმ შემთხვევაში, თუ ეს ბრძანება აღსრულებადია ან აღსრულებულია ამ ქვეყნის სასამართლოს მიერ.

20. ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ განლაგებული აქტივები

წინამდებარე ბრძანების არც ერთი დებულება, დაკავშირებული ინგლისისა და უელსის ფარგლებს გარეთ განლაგებულ აქტივებთან, არ შეუშლის ხელს რომელიმე მესამე მხარეს იყოს შესაბამისობაში:

(1) იმასთან, რასაც იგი გონივრულად მიიჩნევს თავის ვალდებულებად, იქნება ეს საკონტრაქტო თუ სხვა ვალდებულება, იმ ქვეყნის კანონებისა და ვალდებულებების შესაბამისად, რომლებშიც განლაგებულია ასეთი აქტივები ან მასა და მოპასუხეს შორის დადებულ კონტრაქტთან მიმართებაში მოქმედი კანონით გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად და

(2) ასეთი ქვეყნის სასამართლოების ბრძანებებთან იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ბრძანების გამოყენების შესახებ შეტყობინება გაეგზავნება მოსარჩევეების ადვოკატებს.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-263-შ-1-2013

14 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

პ. ქათამაძე

დავის საგანი: შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ტრაქტოროზავოდსკის რაიონის ე.ვოლგოგრადის სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ტ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტ. ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა ერთდროული სადაზღვევო გადასახადი შრომითი დასახიჩრებისას მიყენებული ზიანის სახით 69638 რუსული რუბლი; შრომითი დასახიჩრების გამო ყოველთვიური სადაზღვევო გადასახადი 2330399 რუსული რუბლი; მორალური ზიანის კომპენსაცია 600000 რუსული რუბლი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ტ. ა-ემ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო ბეჭდით დამონმებული ცნობის თანახმად, გადაწყვეტილება მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა, შევიდა კანონიერ ძალაში

და ექვემდებარება აღსრულებას, ხოლო სასამართლოს მიერვე დამონმებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების თანახმად, მოპასუხის წარმომადგენელი სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა, რომელიც საქმის განხილვის დროისა და ადგილის თაობაზე ინფორმირებული იყო დადგენილი წესით და მას სარჩელის საპირისპიროდ შესაგებელი არ წარუდგენია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 30 იანვრის განჩინებით ტ. ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად, რის თაობაზეც ეცნობა მონინალმდევე მხარეს.

2013 წლის 11 თებერვალს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა ე. ს-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და განმარტა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ტ. ა-ის შუამდგომლობა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების თაობაზე უკვე განხილულია და 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით შუამდგომლობის ავტორს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2013 წლის 13 თებერვალს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ კვლავ მომართა სასამართლოს განცხადებით და განმარტა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულება, რომელიც წარმოადგენს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლეს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, განმცხადებელმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, იშუამდგომლა უფლებამონაცვლედ მიჩნევის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, მონინალმდევე მხარის განცხადების საფუძველად ნობას და მიიჩნევს, რომ შუამდგომლობის ავტორის მონინალმდევე მხარის – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლედ ცნობილ უნდა იქნას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, ხოლო ტ. ა-ის შუამდგომლობაზე უცხო ქვეყნის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა შეწყდეს წარმოება შემდეგი გარემოებების გამო:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი განცხადების თანახმად, ის შუამდგომლობის ავტორის მონინალმდევე მხარედ მითითებული სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლეა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანების მე-2 მუხლის თანახმად, 2007 წლის 1 ივლისიდან სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ წარმოადგენს სსიპ „სოციალური სუბსიდიების სააგენტო“ უფლებამონაცვლეს ყველა სახის ურთიერთობაში.

საკასაციო პალატა აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. ამავდროულად მე-2 ნაწილით კი დადგენილია, რომ უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და დასახელებული ნორმის დისპოზიციის საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადება უფლებამონაცვლედ მიჩნევის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ტ. ა-ემ და მოითხოვა რუსეთის ფედერაციის ტრაქტოროზავოდსკის რაიონის ქ.ვოლგოგრადის სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

მონინალმდევე მხარის მიერ წარმოდგენილი განცხადების თანახმად, საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული შუამდგომლობა განხილული აქვს ზეპირი მოსმენის გარეშე.

საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული არგუმენტის ანალიზის, ასევე საქმეში არსებული სათანადო წესით დამონმებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების ასლის საფუძველზე დადასტურებულად მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით №ა-1323-შ-28-2012 საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ტ. ა-ის შუამდგომლობას სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, რუსეთის ფედერაციის ტრაქტოროზავოდსკის რაიონის ქ.ვოლგოგრადის სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, იმსჯელა ზეპირი მოსმენის გარეშე და დაადგინა, რომ არ არსებობდა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასახელებული ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლო უცხო ქვეყნის შუამდგომლობის ცნობა-

სა და საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევასთან დაკავშირებული გარემოებების სამართლებრივი შეფასებისა თუ საპროცესო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლის თანახმად, 272-ე და 275-ე მუხლების შესაბამისი ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განსახილველად მომზადების დროს საქმის წარმოება მოსამართლემ შეიძლება შეწყვიტოს ან სარჩელი (განცხადება) განუხილველად დატოვოს, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება. ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე, ამასთანავე, 2012 წლის 2 ოქტომბრის №ას-1323-შ-28-2012 განჩინება გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არსებობს საქმის წარმოების შეწყვეტის წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადებისა და მე-2 ნაწილის თანახმად, საქმეზე წარმოება შეწყდება სასამართლო განჩინებით. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შუამდგომლობა უფლებამონაცვლის დადგენის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო მიჩნეულ იქნას სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლედ.

3. შეწყდეს წარმოება ტ. ა-ის შუამდგომლობის გამო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უფლებამონაცვლე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ რუსეთის ფედერაციის ტრაქტოროზავოდსკის რაიონის ქ.ვოლგოგრადის სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ.

4. განემარტოს შუამდგომლობის ავტორს, რომ საქმეზე წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-3940-შ-79-2012

18 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების ნომერი 9174/2011) პირველი განმცხადებლის – კ. ხ. ი-ის ძის შვილად ცნობილ იქნა მისი მეუღლის პირველი ქორწინებიდან შექმნილი სრულწლოვანი შვილი – ა-ან ი. – გ-ოს ა. ძე.

ი. ა-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით ი.ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ი. ა-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ამავე გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების მოთხოვნის ნაწილში შუამდგომლობას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების ნომერი 9174/2011) პირველი განმცხადებლის – კ. ხ. ი-ის ძის შვილად ცნობილ იქნა მისი მეუღლის პირველი ქორწინებიდან შექმნილი სრულწლოვანი შვილი – ა-ან ი. – გ-ოს ა. ძე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც პირველი განმცხადებლის – კ.ხ.ი-ის ძის შვილად ცნობილ იქნა მისი მეუღლის პირველი ქორწინებიდან შექმნილი სრულწლოვანი შვილი – ა-ან ი. – გ-ოს ა. ძე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების საკითხს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ იგი არ ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილია, რომ შუამდგომლობას სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების შესახებ თან უნდა დაერთოს ცნობა გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობის შესახებ. ზემომითითებული ნორმა ადგენს იმ სავალდებულო პირობას, რომელიც დაცული უნდა იყოს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებისათვის. ასეთი პირობაა შუამდგომლობის ავტორის მიერ კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობის წარმოდგენა გადაწყვეტილების აღსრულების აუცილებლობის შესახებ, რომლითაც დადასტურდება ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღნიშნული გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

მოცემულ შემთხვევაში, შუამდგომლობის ავტორი თავად მიუთითებს იმაზე, რომ საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება საბერძნეთის რესპუბლიკაში აღსრულებულია. აღნიშნული გარემოება დასტურდება მის მიერ შუამდგომლობაზე თანდართული შვილად აყვანის სააქტო ჩანაწერთაც.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება, უკვე აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, იგი ვერ დაექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი.ა-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილების ნომერი 9174/2011) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება (გადაწყვეტილების ნომერი 9174/2011), რომლითაც პირველი განმცხადებლის – კ.ხ.ი-ის ძის შვილად ცნობილ იქნა მისი მეუღლის პირველი ქორწინებიდან შექმნილი სრულწლოვანი შვილი – ა-ან ი. – გ-ოს ა.ს ძე;

3. ი. ა-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ.თესსალონიკის პირველი ინსტანციის მრავალწევრიანი სასამართლოს 2011 წლის 17 მარტის გადაწყვეტილების (გადაწყვეტილების ნომერი 9174/2011) საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-4854-შ-100-2012

21 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით 2005 წლის 7 თებერვალს გილხინგის რესტრის თანამშრომლის მიერ მ. დ. ა. მ-სა და ჯ. კ. დ. ა. მ-ს შორის რეგისტრირებული №2/2005 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 10 მაისს და აღსრულდა გერმანიაში.

მ. დ. ა. მ-მა შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 31 დეკემბრის განჩინებით მ. დ. ა. მ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. დ. ა. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით 2005 წლის 7 თებერვალს გილხინგის რესტრის თანამშრომლის მიერ მ. დ. ა. მ-სა და ჯ. კ. დ. ა. მ-ს შორის რეგისტრირებული №2/2005 ქორწინება გაუქმდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 10 მაისს და აღსრულდა გერმანიაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, გერმანიის მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. დ. ა. მ-ის შუამდგომლობა გერმანიის მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის მიუნხენის სამხარეო სასამართლოს 2011 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც 2005 წლის 7 თებერვალს გილხინგის რესტრის თანამშრომლის მ. დ. ა. მ-სა და ჯ. კ. დ. ა. მ-ს შორის რეგისტრირებული №2/2005 ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1931-შ-41-2012

10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიჭვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით მ. ო-სა და პ. კ-ს შორის დარმშტადტის მმარის ბიუროში 2006 წლის 20 ოქტომბერს რეგისტრირებული №694/2006 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

მ. ო-ის წარმომადგენელმა რ. ჩ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 16 მაისის განჩინებით მ. ო-ს მიეცა ვადა ხარვეზის შესავსებად და დაევალა სასამართლოში წარმოედგინა მის მიერ ხელმოწერილი შუამდგომლობა ან უფლებამოსილ ადვოკატთან კანონით დადგენილი წესით შედგენილი რწმუნებულება. დადგენილ ვადაში მ. ო-ის წარმომადგენელმა რ. ჩ-მ განცხადებით მომართა სასამართლოს და წარმოადგინა ადვოკატის მონაშობა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მიერ გაცემული სერტიფიკატი, რომლებიდანაც დადგინდა, რომ რ. ჩ-ს ჩაბარებული აქვს სამოქალაქო სამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა და მინიჭებული აქვს საერთო სპეციალიზაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 6 ივნისის განჩინებით მ. ო-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის შუამდგომლობა დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების (№55 F 1360/10 S) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ მ. ო-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის შუამდგომლობა დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების (№55 F 1360/10 S) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით (№55 F 1360/10 S) მ. ო-სა და პ. კ-ს შორის დარმშტადტის მმარის ბიუროში 2006 წლის 20 ოქტომბერს რეგისტრირებული №694/2006 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 15 თებერვალს. მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება (№55 F 1360/10 S) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. ო-ის წარმომადგენელ რ. ჩ-ის შუამდგომლობა გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილების (№55 F 1360/10 S) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის დარმშტადტის უბნის სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება (№55 F 1360/10 S), რომლითაც მ. ო-სა და პ. კ-ს შორის დარმშტადტის მმარის ბიუროში 2006 წლის 20 ოქტომბერს რეგისტრირებული №694/2006 ქორწინება შეწყდა განქორწინებით. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2358-შ-51-2012

10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით (№407 F 76/12) ე. შ-სა და ქ. შ-ს შორის ტონდერის თემის/დანია მმარის ბიუროში 2008 წლის 17 ივლისს რეგისტრირებული №3647/2008 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

ე. შ-ის წარმომადგენელმა თ. ვ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 ივნისის განჩინებით ე. შ-ის წარმომადგენელ თ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ე. შ-ის წარმომადგენელ თ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით (№407 F 76/12) ე. შ-სა და ქ. შ-ს შორის ტონდერის თემის/დანია მმარის ბიუროში 2008 წლის 17 ივლისს რეგისტრირებული №3647/2008 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 23 აპრილს, ასევე დასტურდება, რომ მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე, რადგან გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ შეესაბამებოდა ორივე მეუღლის განცხადებას.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება (№407 F 76/12) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა აღ გ ი ნ ა:

ე. შ-ის წარმომადგენელ თ. ვ-ის შუამდგომლობა გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილების (№407 F 76/12) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ბონის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება (№407 F 76/12), რომლითაც ე. შ-სა და ქ. შ-ს შორის ტონდერის თემის/დანია მმარის ბიუროში 2008 წლის 17 ივლისს რეგისტრირებული №3647/2008 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3147-შ-65-2012

10 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. ნ-სა და ა. მ-ს შორის მცხეთის რაიონის/საქართველო მმარის ბიუროში 2001 წლის 4 ივლისს რეგისტრირებული №4 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის საბოლოო გადაწყვეტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების თარიღად ნაცვლად, 2001 წლის 4 ივლისისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების მოწმობის გაცემის თარიღად ნაცვლად, 2011 წლის 7 აპრილისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

ჯ. ნ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებისა და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 ივლისის განჩინებით ჯ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებისა და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ჯ. ნ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებისა და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. ნ-სა და ა. მ-ს შორის მცხეთის რაიონის/საქართველო მმარის ბიუროში 2001 წლის 4 ივლისს რეგისტრირებული №4 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის საბოლოო გადაწყვეტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების თარიღად ნაცვლად 2001 წლის 4 ივლისისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილებით გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში

მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების მოწმობის გაცემის თარიღად ნაცვლად 2011 წლის 7 აპრილისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

საქმეში წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით დასტურდება, რომ გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2009 წლის 3 მარტს, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 14 ივნისს და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2012 წლის 6 ივლისს.

მხარეები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი საქმის განხილვის თაობაზე და მონაწილეობდნენ საქმის განხილვაში.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება, გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

ჯ. წ-ის შუამდგომლობა გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების (№001 F 00096/07), გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებისა (№1 F 96/07) და გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილების (№1 F 96/07) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება (№001 F 00096/07), რომლითაც ჯ. წ-სა და ა. მ-ს შორის მცხეთის რაიონის/საქართველო მმარის ბიუროში 2001 წლის 4 ივლისს რეგისტრირებული №4 ქორწინება შეწყდა განქორწინებით.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება (№1 F 96/07), რომლითაც გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 30 იანვრის საბოლოო გადაწყვეტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების თარიღად ნაცვლად 2001 წლის 4 ივლისისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 15 ივნისის გადაწყვეტილება (№1 F 96/07), რომლითაც გერმანიის ფრაიბერგის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებაში მოხდა შესწორების შეტანა და ქორწინების მოწმობის გაცემის თარიღად ნაცვლად 2011 წლის 7 აპრილისა მიეთითა 2001 წლის 7 აპრილი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2517-შ-54-2012

24 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 111 F 4264/10) გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმა-

ჩის ბიუროს მოხელის წინაშე მეუღლეების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193).

გ. რ-მა წარმომადგენელ ა. შ-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითიებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 ივნისის განჩინებით გ. რ-ის (წარმომადგენელი ა. შ-ი) შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ გ. რ-ის (წარმომადგენელი ა. შ-ი) შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილებით (საქმე № 111 F 4264/10) გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე მეუღლეების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე № 111 F 4264/10), რომლითაც გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე მეუღლეების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. გ. რ-ის შუამდგომლობა გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ნიურნბერგის საოლქო სასამართლოს საოჯახო საქმეთა განყოფილების 2011 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება (საქმე № 111 F 4264/10) იმ ნაწილში, რომლითაც გაუქმდა 2003 წლის 27 თებერვალს ნიურნბერგის მმარის ბიუროს მოხელის წინაშე მეუღლეების (მხარეები: გ. რ-ი და მ. რ-ი) მიერ გაფორმებული ქორწინება (ქორწინების რეგისტრაციის №193).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1323-შ-28-2012

2 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-403/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ტ. ტ-ის ძე ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტ. ტ-ის ძე ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა: ა. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, ყოველთვიური სადაზღვევო გადასახადის გამო ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, ყოველთვიური სადაზღვევო გადასახადის დავალიანება 2330399 რუბლის ოდენობით; გ. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის 600000 რუბლის ოდენობით; დ. 2009 წლის 1 ოქტომბრიდან, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო 33479 რუბლის გადახდა. ამასთან, დადგინდა, რომ ტ. ტ-ის ძე ა-ის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის ინდექსაცია და მისი პერიოდულობა განისაზღვროს საქართველოს ნაციონალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ტ. ა-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 აპრილის განჩინებით ტ. ა-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში. ამავე განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გაეგზავნა როგორც სხეულებული შუამდგომლობის, ისე შუამდგომლობაზე თანდართული მასალების ასლები. ადრესატს განემარტა, რომ უფლება ჰქონდა წარმოედგინა მოსაზრება ტ. ტ-ის ძე ა-ის შუამდგომლობის თაობაზე აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში, მასვე განამარტა ისიც, რომ შეეძლო მოეთხოვა საქმის ზეპირი განხილვა, ხოლო თუ იგი აღნიშნულს არ მოითხოვდა, საქმე განიხილებოდა ზეპირი განხილვის გარეშე.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ საკასაციო სასამართლოში წარმოადგინა მოსაზრება, სადაც აღნიშნა, რომ 2008 წლიდან 2012 წლის ჩათვლით მოქმედი საბიუჯეტო კანონებით არ ყოფილა გათვალისწინებული საჭირო ასიგნებები 2007 წლის 1 მარტის შემდგომ პერიოდში სააგენტოს მიმართ წარმოდგენილი ისეთი მოთხოვნების დასაკმაყოფილად, როგორც წარმოადგენს შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სააგენტო მოკლებულია ფინანსურ შესაძლებლობას, რადგან იგი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და მისი დაფინანსების ფაქტობრივად ერთადერთი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, სარჩო კი არის მიზნობრივი სოციალური გასაცემელი (პენსიის, სუბსიდიის მსგავსად). მისი დაფინანსება ხდება ბიუჯეტის მხოლოდ შესაბამისი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მიზნობრივი ასიგნებიდან. ზემომითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მონინალმდევე მხარე მიიჩნევს, რომ დღეისათვის სოციალური მომსახურების სააგენტო არ წარმოადგენს ვალდებულ პირს საწარმოო ტრავმის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხებში. ამასთან, საბიუჯეტო სახსრებიდან თანხის ანაზღაურების საკითხი უნდა განხილულიყო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. არამართებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისროს თანხების ანაზღაურება.

მონინალმდევე მხარე არასწორად მიიჩნევს ასევე სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახულ მითითებას იმის შესახებ, რომ მოპასუხეს ეცნობა სხდომის შესახებ, მაგრამ რაიმე პოზიცია არ წარუდგენია. მისი განმარტებით, სოციალური მომსახურების სააგენტოში არც დასახელებული საქმე და სხდომის ჩატარების თაობაზე არც რაიმე სახის შეტყობინება არ შესულა. შუამდგომლობა არ შეიცავს უტყუარ მტკიცებულებას, რაც დაადასტურებს სასამართლო უწყების სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციას.

გარდა ამისა, მონინალმდევე მხარის მოსაზრებით, რუსეთის ფედერაციის სასამართლოს არ გააჩნდა საერთაშორისო კომპეტენცია განსახილველი დავის მიმართ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ა-ის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საკითხს ანესრიგებს საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“. აღნიშნული კანონის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილია, რომ სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას. ამავე კანონის მე-2 ნაწილის თანახმად, აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულებისათვის კანონი ადგენს განსაზღვრულ წინაპირობებს. სწორედ ამ წინაპირობებს უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობა, რათა მოხდეს შესაბამისი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და მისი აღსასრულებლად მიქცევა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძვლად განიხილავს შემდეგ ორ შემთხვევას, თუ: საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება ან თუ, უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.

კომპეტენციასთან დაკავშირებული ზემომითითებული საკითხების საკანონმდებლო მონესრიგებას გვთავაზობს „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგი ნორმები, თუმცა მისი მე-2 მუხლი ადგენს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ წესებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ ამ კანონით განსაზღვრულ წესებთან შედარებით.

„სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენცია, რომლის ხელშემკვრელ მხარეებსაც წარმოადგენენ როგორც საქართველო, ასევე რუსეთის ფედერაცია, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას ასევე უკავშირებს ამ სასამართლოს კომპეტენტურობას. კერძოდ, კონვენციის 55-ე მუხლის „დ“ პუნქტის მიხედვით, თითოეული ხელშემკვრელი მხარის იუსტიციის დანესებულებათა მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების ცნობისა და მათი იძულებითი აღსრულების ნებართვის გაცემაზე შეიძლება უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ, მოცემული კონვენციის დებულებათა თანახმად, ხოლო კონვენციით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება, საქმე განეკუთვნება მისი დანესებულების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

დასახელებული კონვენციის 42-ე მუხლი შეიცავს შემდეგ დანაწესს: ზიანის ანაზღაურების ვალდებულებები, იმათ გარდა, რომლებიც გამომდინარეობენ ხელშეკრულებებიდან და სხვა მართლზომიერი მოქმედებებიდან, განისაზღვრება იმ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა; თუ ზიანის მიმყენებელი და დაზარალებული ერთი ხელშემკვრელი მხარის მოქალაქეა ან არაა, გამოიყენება ამ ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობა; ზემოაღნიშნულ საქმეებში კომპეტენტურია იმ ქვეყნის სასამართლო, რომლის ტერიტორიაზეც ადგილი ჰქონდა მოქმედებას ან სხვა გარემოებას, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი გახდა. დაზარალებულს შეუძლია აგრეთვე სარჩელი წარუდგინოს იმ ხელშემკვრელი მხარის სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზეც საცხოვრებელი ადგილი აქვს მოპასუხეს. კონვენციის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ 42-ე მუხლით მონესრიგებული შემთხვევები განეკუთვნება ხელშემკვრელი მხარის სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას.

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი მოითხოვს რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, რომლითაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს ტ. ტ-ის ძე ა-ის სასარგებლოდ დაეკისრა: ა. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო ერთჯერადი სადაზღვევო გადასახადი 69638 რუბლის ოდენობით; ბ. შრომითი მოვალეობის შესრულებისას ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო, ყოველთვიური სადაზღვევო გადასახადის დავალიანება 2330399 რუბლის ოდენობით; გ. კომპენსაცია მორალური ზიანისათვის 600000 რუბლის ოდენობით; დ. 2009 წლის 1 ოქტომბრიდან, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის გამო 33479 რუბლის გადახდა. საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხისათვის მოსარჩელე ტ. ა-ის სასარგებლოდ თანახმის გადახდის დაკისრებას სასამართლომ საფუძვლად დაუდო საქართველოში, კერძოდ, ქ.ტყიბულში მდებარე ორჯონიკიძის სახელობის შახტაში მოსარჩელის დასახიჩრების ფაქტი, რის შედეგადაც მას დაუდგინდა პროფესიული შრომისუნარიანობის 50%-ით, ხოლო საერთო შრომისუნარიანობის 35%-ით დაკარგვა.

ამდენად, ნათელია, რომ რუსეთის ფედერაციის სასამართლომ განიხილა საქმე ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე დადგა. მოცემული საქმე საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციის 42-ე მუხლის მიხედვით. აღნიშნული გარემოება კი, კონვენციის 55-ე მუხლის შესაბამისად, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ მინსკის კონვენციით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ტ. ა-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.ვოლგოგრადის ტრაქტოროზავოდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილების (საქმე №2-403/2009) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
2. საკასაციო სასამართლომ განიხილა საბოლოო და არ საჩივრდება.

**უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა
და აღსრულება**

განჩინება

№ა-2673-შ-55-2012

2 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით ი. მ-ის ასულ ლ-სა და გ. გ-ის ძე ლ-ს შორის 2004 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული №მნ 0047152 ქორწინება გაუქმდა, ქორწინების გაუქმების ბაჟი სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილ იქნა ერთი ბაზისური სიდიდით თითოეული მხარის მიერ, განქორწინების შემდგომ მოსარჩელეს მიეკუთვნა გვარი ლ-ა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა მოპასუხე გ. ლ-მ და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება შემდეგი: ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და ის შესულია კანონიერ ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა არ გამოცხადდა და მოითხოვა საქმის მის დაუსწრებლად განხილვა, ამასთან, სცნო სარჩელი. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ასევე დადასტურებულია გადაწყვეტილების მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ასევე საქმეში წარმოდგენილია ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს გზავნილი, რომელიც საქართველოში ჩაბარდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს.

სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის საფუძველზე შუამდგომლობის ავტორმა დამატებით წარმოადგინა საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი, ასევე განმარტა, რომ 2010 წლის 27 ნოემბერს ჯვარი დაინერა მოქალაქე თ. ც-ზე და სურს გააფორმოს მასთან სამოქალაქო ქორწინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 ივლისის განჩინებით გ. ლ-ს შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ლ-ს შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება მხარეებს არ გაუსაჩივრებიათ და ის შესულია კანონიერ ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ირკვევა, რომ მოპასუხე საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყო, თუმცა არ გამოცხადდა და მოითხოვა საქმის მის დაუსწრებლად განხილვა, ამასთან, ცნო სარჩელი. შუამდგომლობის ავტორის განმარტებით ასევე დადასტურებულია გადაწყვეტილების მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე აღსრულების ფაქტი, ასევე საქმეში წარმოდგენილია ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს გზავნილი, რომელიც საქართველოში ჩაბარდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს. ირკვევა ის, რომ შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა, მხარის წერილობითი განმარტებით ასევე დასტურდება, რომ 2010 წლის 27 ნოემბერს მან ჯვარი დაინერა მოქალაქე თ. ც-ზე და სურს გააფორმოს მასთან სამოქალაქო ქორწინება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კა-

ნონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სასამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ლ-ს შუამდგომლობა ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ბელორუსის რესპუბლიკის ქ.მინსკის საქარხნო რაიონის სასამართლოს 2010 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ი. მ-ის ასულ ლ-სა და გ. გ-ის ძე ლ-ს შორის 2004 წლის 18 დეკემბერს ქ.თბილისის ქორწინების სასახლეში რეგისტრირებული №მნ 0047152 ქორწინება გაუქმდა, ქორწინების გაუქმების ბაჟი სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდილ იქნა ერთი ბაზისური სიდიდით თითოეული მხარის მიერ, განქორწინების შემდგომ მოსარჩელეს მიეკუთვნა გვარი ლ-ა.
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-3108-შ-64-2012

4 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

რუდოლფტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით 1999 წლის 27 აპრილს საქართველოს ქ.თბილისის მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერი განყოფილების მიერ რეგისტრირებული №494/1999 ქორწინება რ. ლ-სა და უ. წ-ს შორის შეწყვეტილ იქნა მხარეთა განქორწინების გამო, მეუღლეთა შორის წილების დაბალანსებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯები ერთმანეთის სასარგებლოდ დაეკისრა მხარეებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მომართა უ. წ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი აპოსტილით დამოწმებული გადაწყვეტილებით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 მაისიდან, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ დადგენილი წესით (მონაწილეობდნენ წარმომადგენლის მეშვეობით), საქმეში წარმოდგენილი საოჯახო წიგნის აპოსტილით დამოწმებული ასლის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც უ. წ-ი მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო უ. წ-ის პირადობის მოწმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეოლქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 აგვისტოს განჩინებით უ. წ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ უ. ნ-ის შუამდგომლობა რუდოლფშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება, რომ გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 28 მაისიდან, ირკვევა, რომ მხარეები საქმის განხილვის თაობაზე ინფორმირებული იყვნენ დადგენილი წესით (მონაწილეობდნენ წარმომადგენლის მეშვეობით), საქმეში წარმოდგენილი საოჯახო წიგნის აპოსტილით დამონმებული ასლის თანახმად, გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც უ. ნ-ი მოითხოვს, აღსრულებულია მისი მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო უ. ნ-ის პირადობის მონმობის ასლის თანახმად, შუამდგომლობის ავტორი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით კი დადგენილია, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით კანონმდებელმა განსაზღვრა ის წინაპირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილდეს შუამდგომლობაში მითითებული გადაწყვეტილება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარეს უარი ეთქმევა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. ამდენად, უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა არ ხდება, თუ: ა) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება; ბ) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები; გ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან მესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილ იქნა საქართველოში; დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება; ე) უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს; ვ) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი; ზ) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით ასევე დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, თუმცა საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუდოლფშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. უ. ნ-ის შუამდგომლობა რუდოლფშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას რუდოლფშტადტის საოლქო სასამართლოს ზაალფელდის ფილიალის 2011 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც 1999 წლის 27 აპრილს საქართველოს ქ.თბილისის მოქალაქეთა მდგომარეობის ჩამწერი განყოფილების მიერ რეგისტრირებული №494/1999 ქორწინება რ. ლ-სა და უ. ნ-ს შორის შეწყვეტილ იქნა მხარეთა განქორწინების გამო, მეუღლეთა შორის წილების დაბალანსებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯები ერთმანეთის სასარგებლოდ დაეკისრათ მხარეებს.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბანჩინება

№ა-1833-შ-36-2012

11 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
თ. თოდრია

დავის საგანი: შვილად აყვანა

აღწერილობითი ნაწილი:

საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ.-ს ე-ის ძის და ი. ბ.-ის განცხადება დაკმაყოფილდა, საქართველოს მოქალაქე ს. ბ. ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ.-ის შვილად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს შუამდგომლობით მომართა ი. ბ.-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს საელჩოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილებისა და მისი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, განხილულ იქნა სასამართლოს დახურულ სხდომაზე და მოპასუხე მასში მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით იღებდა, დადენილია, რომ მხარემ (შვილად ამყვანმა) თანხმობა განაცხადა საქართველოს მოქალაქის შვილად აყვანაზე, სასამართლომ მისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმა და დაადგინა, რომ შვილად აყვანა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას – სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოება, რომ შვილად ასაყვანი პირი – ს. ბ.-ი საქართველოს მოქალაქეა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით მოცემული შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. ბ.-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ.-ის განცხადება დაკმაყოფილდა, საქართველოს მოქალაქე ს. ბ. ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ.-ის შვილად.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს საელჩოს მიერ ლეგალიზებული გადაწყვეტილებისა და მისი თარგმანის შესწავლით დასტურდება, რომ გადაწყვეტილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასაც მხარე მოითხოვს, განხილულ იქნა სასამართლოს დახურულ სხდომაზე და მოპასუხე მასში მონაწილეობას წარმომადგენლის მეშვეობით იღებდა, დადენილია, რომ მხარემ (შვილად ამყვანმა) თანხმობა განაცხადა საქართველოს მოქალაქის შვილად აყვანაზე, სასამართლომ მისი კომპეტენციის ფარგლებში შეამოწმა და დაადგინა, რომ შვილად აყვანა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას – სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნებს. ამავე გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოება, რომ შვილად ასაყვანი პირი – ს. ბ.-ი საქართველოს მოქალაქეა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამატრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია, ამდენად, საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით და

დასკვნა:

1. ი. ბ.-ის შუამდგომლობა საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას საბერძნეთის ქ. პირეას სასამართლოს 2010 წლის 30 იანვრის და ამავე სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც საქართველოს მოქალაქე ს. ბ.-ი ცნობილ იქნა მ. გ. ე-ის ძის და ი. ბ.-ის შვილად.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1846-შ-37-2012

15 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: ალიმენტის (სარჩოს) დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:
შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;
 2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.
 3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.
 4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.
 5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.
 6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.
- აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შვეიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შვეიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახდის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 მაისის განჩინებით ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

2012 წლის 8 ოქტომბერს ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ წარმოადგინა დაზუსტებული შუამდგომლობა და მოითხოვა შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ შვეიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა შემდეგი:

1. ნებას რთავს ცოლ-ქმარ დ. მ-სა და ი. მ-ს იცხოვრონ ცალ-ცალკე ორი წლის ვადით, ანუ 2012 წლის 31 ოქტომბრამდე;
2. ნებას რთავს ი. მ-ს დაიბრუნოს თავისი ტანსაცმელი, აგრეთვე პირადი დოკუმენტები და ნივთები.
3. აცხადებს, რომ დ. მ-ი მონაწილეობას მიიღებს მეუღლის რჩენაში, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.
4. აცხადებს ცოლ-ქმარ დ. მ-ისა და ი. მ-ს ქონების გამიჯვნის რეჟიმს, დაუყოვნებლივ აღსრულებით.
5. არ აკმაყოფილებს მხარეების არცერთ სხვა, ან შემდგომ მოთხოვნებს.
6. აცხადებს, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია მოსაკრებლისა და სასამართლო ხარჯების გარეშე.

აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 22 სექტემბერს და შევიცარიის ტერიტორიაზე აღსრულდა ნაწილობრივ, კერძოდ, დ. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 2009 წლის დეკემბრის თვის ალიმენტი.

ი. მ-მა მიმართა შევიცარიაში ვოდის კანტონში (შუამდგომლობის ავტორი საცხოვრებელი ადგილი 2009-2010წწ.) „სარჩოს/ალიმენტის გადახდის აღსრულებისა და ავანსების გაცემის ოფისს“ (BRAPA), რომელიც სარჩოსა და ალიმენტების გადახდასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების უფასო აღსრულებას ახორციელებს, სადაც დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება მხოლოდ ცხრა თვის საალიმენტო თანხაზე, კერძოდ, 2010 წლის 1 მაისიდან 2011 წლის 31 იანვრამდე.

ი. მ-ის წარმომადგენელმა ნ. ბ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შევიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, შევიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. ი. მ-ის წარმომადგენელ ნ. ბ-ის შუამდგომლობა შევიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ალიმენტის (სარჩოს) დაკისრების ნაწილში, 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 მაისამდე და 2011 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულების განხორციელების მომენტამდე, დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად შევიცარიის ლა კოტის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დ. მ-ს დაევალა მეუღლის რჩენაში მონაწილეობის მიიღება, 3000 ფრანკის ოდენობის ყოველთვიური ალიმენტის რეგულარულად გადახდით. თანხას ხელზე გადაუხდის ი. მ-ს, წინასწარ, ყოველი თვის პირველ რიცხვში, აღნიშნული თარიღით დაწყებული, ანუ 2009 წლის 1 დეკემბრიდან.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3544-შ-71-2012

25 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით (განაჩენით) 2000 წლის 18 დეკემბერს ი. გ-სა და ვ-ა ბ-ს შორის საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება გა-

უქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიეწოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება (განაჩენი) ძალაშია 2012 წლის 28 აგვისტოდან. ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის რეესტრის ამონაწერით დასტურდება ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება.

ი. გ-ის წარმომადგენელმა შ. კ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 24 სექტემბრის განჩინებით ი. გ-ის წარმომადგენელ შ. კ-ის შუამდგომლობა ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ი. გ-ის წარმომადგენელ შ. კ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით (განაჩენით) 2000 წლის 18 დეკემბერს ი. გ-სა და ვ. ბ-ს შორის საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიეწოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება (განაჩენი) ძალაშია 2012 წლის 28 აგვისტოდან. ისრაელის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსახლეობის რეესტრის ამონაწერით დასტურდება ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების აღსრულება.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ი. გ-ის წარმომადგენელ შ. კ-ის შუამდგომლობა ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილების (განაჩენის) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ისრაელის ხაიფას საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2009 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება (განაჩენი), რომლითაც 2000 წლის 18 დეკემბერს ი. გ-სა და ვ. ბ-ს შორის საქართველოში რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე საპროცესო ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2172-შ-48-2012

30 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ.თბილისში, 1994 წლის 20 აგვისტოს გ. ნ-სა და ე. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიეწოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა ძალაში 2011 წლის 11 დეკემბერს.

გ. ნ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 2012 წლის 1 ივნისის განჩინებით გიორგი ნოდის შუამდგომლობა ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ გ. ნ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ.თბილისში, 1994 წლის 20 აგვისტოს გ. ნ-სა და ე. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა. ინფორმაცია განქორწინების შესახებ მიენოდა შსს-ს. აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა ძალაში 2011 წლის 11 დეკემბერს.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა:

1. გ. ნ-ს შუამდგომლობა ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას ისრაელის იერუსალიმის საოჯახო საქმეთა სასამართლოს 2011 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ქ.თბილისში, 1994 წლის 20 აგვისტოს გ. ნ-სა და ე. ს-ს შორის რეგისტრირებული ქორწინება გაუქმდა.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ა-2780-შ-59-2012

16 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის ქ.ოფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 309 ფ 1457/11) ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფენბახის მმარის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ-კ-ის შორის (ნომერი 340-2007).

ა. ჯ-კ-იმ წარმომადგენელ ლ. გ-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის განჩინებით ა. ჯ-კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. ჯ-კ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით (საქმე № 309 ფ 1457/11) ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ-კ-ის შორის (ნომერი 340-2007).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება (საქმე № 309 ფ 1457/11), რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ-კ-ის შორის (ნომერი 340-2007), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ჯ-კ-ის შუამდგომლობა გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების (საქმე № 309 ფ 1457/11) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის ქ.ოფფენბახის საოჯახო საქმეების განმხილველი სასამართლოს 2012 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება (საქმე № 309 ფ 1457/11), რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 27 ოქტომბერს ქ.ოფფენბახის მმჩის განყოფილების მიერ რეგისტრირებული ქორწინება მხარეებს – ა. კ-ისა და ა. ჯ-კ-ის შორის (ნომერი 340-2007).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2121-შ-44-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

ბ. ალავიძე

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით. ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან.

ა. მ-მა შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემოთხსენებული განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 მაისის განჩინებით ა. მ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ა. მ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით. ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან.

ასევე დადგენილია, რომ ზემოაღნიშნულ ნაწილში გადანყვეტილება არ გასაჩივრებულა და კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 17 ოქტომბერს. ამასთან, იგი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავდროულად მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადანყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ა. მ-ის შუამდგომლობის დაკმაყოფილების და სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ა. მ-ის შუამდგომლობა სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის საერთო იურისდიქციის სასამართლოს 2011 წლის 14 სექტემბრის განაჩენი იმ ნაწილში, რომლითაც ა. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: დადგინდა ვ. რ-ის ძე მ-ისათვის ალიმენტის ჩამორთმევა, ტ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2002 წლის ... ივლისს) და დ. ვ-ის ძე მ-ის (დაბადებულის 2004 წლის ... ოქტომბერს) სარჩენად, მათ სრულწლოვანებამდე, ა. რ-ის ასული მ-ის სასარგებლოდ ყოველთვიური გადასახადების საშუალებით, სტაბილური ფულადი თანხით, თითოეული ბავშვისათვის ყოველთვიურად 20000 დრამის ოდენობით, ამავდროულად დადგინდა, რომ ალიმენტის გამოყოფა მომხდარიყო სასამართლოსათვის მიმართვის დროიდან, 2011 წლის 11 მარტიდან;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადანყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-3019-შ-63-2012

23 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
ბ. ალავიძე

დავის საგანი: განქორწინება

აღწერილობითი ნაწილი:

გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე № 9 F 62/11) გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002).

ბ. გ.-კ-მა წარმომადგენელ ნ. ო-ის მეშვეობით შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ზემომითი უზენაესი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა დასახელებულ ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 ივლისის განჩინებით ბ. გ.-კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და მიიჩნევს, რომ ბ. გ.-კ-ის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით (საქმე № 9 F 62/11) გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002).

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოთ დასახელებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

ამდენად, გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე № 9 F 62/11), რომლითაც გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002), საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და
და ა ლ გ ი ნ ა:

1. ბ. გ.-კ-ის შუამდგომლობა გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილების (საქმე № 9 F 62/11) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას გერმანიის საოჯახო საქმეების განმხილველი მანჰაიმის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2011 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება (საქმე № 9 F 62/11), რომლითაც გაუქმდა მეუღლეებს (ბ. გ.-კ-ი და კ. კ-ი) შორის 2002 წლის 11 ოქტომბერს მანჰაიმის მმარის ბიუროს მუშაკის წინაშე რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების რეესტრის ნომერი 712/2-2002).

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1369-შ-30-2012

24 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის
მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: ქონებაზე ყადაღის დადება

აღწერილობითი ნაწილი:

ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელის სარჩელი უზრუნველყოფის დროებითი ღონისძიებებთან დაკავშირებით. უზრუნველყოფის დროებით ღონისძიებების სახით შესრულდეს დაყადაღება რათა დაკმაყოფილდეს მოსარჩელე „G. Inc.“-ის (A. W. ..., G., Illinois, USA, ანგარიშის ნომერი ..., ბანკი N. C. B. 363 W.O. St., Chicago IL ...) მოთ-

ხოვნები. შესრულდეს „K.“-ის (იურიდიული პირის კოდი რეგისტრირებული ოფისი: P. Str. 8/ B. Str.1 Vilnius), „V.“-ის (იურიდიული პირის კოდი ..., რეგისტრირებული ოფისი: P. Str. 8/ B. Str.1 Vilnius), და ვ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი: P. Str. 10-1 Vilnius) საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების, ასევე მათი მესამე მხარეების მფლობელობაში არსებული ქონების სეკვესტრაცია შემდეგი თანხებით: „K.“ – 4,567,000 (ოთხი მილიონ ხუთას სამოცდაშვიდი ათასი) ლიტა; ვ. გ-ი – 10,644,851 (ათი მილიონ ექვსას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტა; „V.“-ის და ვ. გ-ის საკუთრებაში არსებული დაყადაღებას დაქვემდებარებული აქტივების არ არსებობის გამო თანხით 15,221,851 (თხუთმეტი მილიონ ორას ოცდაერთი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტვური ლიტა, შესრულდეს სეკვესტრაცია დ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი R. str. 15, Vilnius) საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება და ვ. გ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება პრეტენზიის დანარჩენი ნაწილისათვის, მაგრამ არა უმეტეს 15,221,851 (თხუთმეტი მილიონ ორას ოცდაერთი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტვური ლიტისა, აეკრძალათ მოპასუხეებს დაყადაღებული აქტივების განკარგვა, გიროში ან იპოთეკაში ჩადება, ან სხვაგვარად ამ აქტივების იურიდიული სტატუსის გაზრდა. მოპასუხეების საკუთრებაში უძრავი და მოძრავი ქონების არარსებობის ან არასაკმარისი უძრავი და მოძრავი ქონების არსებობის შემთხვევაში შესრულდეს მოპასუხეების საბანკო ანგარიშებზე ან/და სხვა საკრედიტო ინსტიტუციის ანგარიშზე არსებული, ან მესამე მხარეების საკუთრებაში არსებული ფულადი სახსრების სეკვესტრაცია, რათა „K.“-მა და „V.“-მა შეძლონ სახელმწიფო გადასახადების და სადაზღვევო თანხების გადახდა და გადაუხადონ მოსარჩელეს საკუთრი დაყადაღებული ფულადი სახსრებიდან.

ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაყადაღებას დაექვემდებარა მოპასუხის და/ან მესამე მხარეების, მოპასუხე ვ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი R. str. 15, Vilnius) მფლობელობაში არსებული უძრავი და/ან მოძრავი ქონება თანხით 10,644,851 (ათი მილიონ ექვსას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტა მოსარჩელე „G. Inc.“-ის (A. W. ..., Glenview, Illinois, USA, ანგარიშის ნომერი ..., ბანკი N. C. B. 363 W.O. St., Chicago IL ...) სარჩელის დასაკმაყოფილებლად. მოპასუხეებს აეკრძალათ უძრავი და/ან მოძრავი ქონების გაყიდვა ან გადაცემა მესამე მხარისთვის, გიროში ან იპოთეკაში ჩადება, ან მათი სხვაგვარად განკარგვა. უფლება მიეცათ ისარგებლონ დაყადაღებული უძრავი და/ან მოძრავი ქონებით, თუ კი სარგებლობა არ გულისხმობს მათ დაზიანებას ან ღირებულების შემცირებას მახასიათებლების შეცვლის გამო. უძრავი და/ან მოძრავი ქონების არ არსებობის, ან მოსარჩელის დასაკმაყოფილებლად მათი არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, დაყადაღებას დაექვემდებარა ფინანსური სახსრები, რომლებიც განთავსებულია მოპასუხის საბანკო ან სხვა საკრედიტო დაწესებულების ანგარიშზე, ან მესამე მხარეების საკუთრებაში ან მის მფლობელობაში არსებული სახსრების დაყადაღება, ოღონდ არა უმეტეს 10,644,851 (ათი მილიონ ექვსას ორმოცდაოთხი ათას რვაას ორმოცდათერთმეტი) ლიტისა.

ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა დანგოულე გელაშვილის მოთხოვნა; გაუქმდა დროებითი დამცავი ღონისძიებები – უძრავ-მოძრავი ქონებისა და ფულადი რესურსების ყადაღა – რომელიც განხორციელდა დ. გ-ის (პირადი კოდი ..., მისამართი R. str. 15, Vilnius) მიმართ ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით სამოქალაქო საქმეზე № 2-7623-392/2010.

ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილებით შეწყდა სააპელაციო საქმის წარმოება, რომელიც ეხება შუალედური დაცვითი ზომების გამოყენებას დ. გ-ის (პერსონალური საიდენტიფიკაციო ნომერი ..., მცხოვრები ვილნიუსში, რ-ს ქ.№15) მფლობელობაში მყოფი საკუთრებისა და ფულადი სახსრების მიმართ.

„G. Inc.“-ის წარმომადგენელმა დ. უ.-ფ-მ შუამდგომლობით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 მაისის განჩინებით მოცემულ შუამდგომლობას დაუდგინდა ხარვეზი და მის ავტორს დაევალა სასამართლოში წარმოედგინა დაზუსტებული მოთხოვნა და მოპასუხეების – ვ. გ-ისა (პირადი კოდი ...) და ვ. გ-ის (პირადი კოდი ...) საცხოვრებელი ადგილის მისამართები საქართველოს ტერიტორიაზე.

დადგენილ ვადაში „G. Inc.“-ის წარმომადგენელმა დ. უ.-ფ-მ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მიუთითა, რომ შუამდგომლობის ავტორი ითხოვდა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას, ხოლო „G. Inc.“-ისთვის უცნობი იყო მოპასუხეების – ვ. გ-ისა (პირადი კოდი 36001180191) და ვ. გ-ის (პირადი კოდი ...) საცხოვრებელი ადგილი და მისამართები საქართველოს ტერიტორიაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ „G. Inc.“-ის წარმომადგენელ დ. უ.-ფ-ს შუამდგომლობა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ორ შემთხვევას მოიცავს: ა) საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არ არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძალითაც მხარეებს ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობის ვალდებულება ეკისრებათ, ბ) უცხო ქვეყანა, გარკვეული მოსაზრებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებები, რომელთა ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი ითხოვს მიღებულია ლიტვის სასამართლოს მიერ. საქართველოსა და ლიტვის სახელმწიფოს შორის რაიმე ორმხრივი შეთანხმება სამართლებრივი დახმარების გაწევის ან სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ არ არსებობს. მხარეები არც რომელიმე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრები არიან, რომელიც ამგვარ საკითხებს აწესრიგებს, შესაბამისად, ლიტვის სახელმწიფოს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულება არ აქვს ნაკისრი, აღნიშნული კი, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის საფუძველზე, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ „G. Inc.“-ის წარმომადგენელ დ. უ.-ფ-ს შუამდგომლობა არ შეესაბამება „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

„G. Inc.“-ის წარმომადგენელ დ. უ.-ფ-ს შუამდგომლობა ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 14 სექტემბრისა და ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებების (ვილნიუსის რეგიონალური სასამართლოს 2010 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და ლიტვის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 7 მარტის გადაწყვეტილების გათვალისწინებით) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-2771-შ-58-2012

25 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ვ. როინიშვილი,

მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინებით მოსარჩელე ნ. შ-ს განცხადება სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო საქმეზე ნ. შ-ს სარჩელი მოპასუხეების – ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციისა და ი. ი-ს მიმართ ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის ადმინისტრაციის 1992 წლის 27 ნოემბრის №80 დადგენილების, ნ. კ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმობის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ი. ი-ს სახელზე სახელმწიფო რეგისტრაციის ბათილად

ცნობის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის 1/2-ის მესაკუთრედ ნ. შ-ს ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციას ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების საადვოკატო მომსახურებისათვის 16625 რუბლის ოდენობით; ი. ი-ს ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების წარმომადგენლის მომსახურებისათვის 33250 რუბლის ოდენობით; დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული სასამართლო ხარჯების დაკისრებას ეთქვა უარი. აღნიშნული განჩინება ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 13 სექტემბერს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

ნ. შ-მ შუამდგომლობით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ირავდა ისტრატოვას მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 9 ივლისის განჩინებით ნ. შ-ს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში მიღებულ იქნა წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს და თვლის, რომ ნ. შ-ს შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინებით მოსარჩელი ნ. შ-ს განცხადება სასამართლო ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, სამოქალაქო საქმეზე ნ. შ-ს სარჩელი მოპასუხეების – ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციისა და ი. ი-ს მიმართ ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის ადმინისტრაციის 1992 წლის 27 ნოემბრის №80 დადგენილების, ნ. კ-ის სახელზე გაცემული სამკვიდრო მონუმენტის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ი. ი-ს სახელზე სახელმწიფო რეგისტრაციის ბათილად ცნობის, ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარში, .. ო-ის ქ. №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთის 1/2-ის მესაკუთრედ ნ. შ-ს ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ვორონეჟის ოლქის ქ.ბოგუჩარის საქალაქო დასახლების ადმინისტრაციას ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების საადვოკატო მომსახურებისათვის 16625 რუბლის ოდენობით; ი. ი-ს ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების წარმომადგენლის მომსახურებისათვის 33250 რუბლის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას წარმომადგენლის მომსახურებისათვის განეული სასამართლო ხარჯების დაკისრებას ეთქვა უარი. აღნიშნული განჩინება ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა 2011 წლის 13 სექტემბერს და რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ აღსრულებულა.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინება ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლით და

და ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ნ. შ-ს შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ ი. ი-ს მიმართ თანხის დაკისრების ნაწილში დაკმაყოფილდეს.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ იქნას და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ვორონეჟის ოლქის ბოგუჩარსკის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის განჩინება, რომლითაც ი. ი-ს ნ. შ-ს სასარგებლოდ დაეკისრა დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის პროპორციულად სასამართლო ხარჯების – წარმომადგენლის მომსახურებისათვის 33250 რუბლის ანაზღაურება.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება

განჩინება

№ა-1887-შ-40-2012

26 ივლისი, 2012 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. როინიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის – პირთა ნათესაური კავშირის დადგენა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ა. ყ. კ-მ განცხადებით მიმართა სასამართლოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის – პირთა ნათესაური კავშირის დადგენის თხოვნით.

რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ა. ყ. კ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ 1990 წლის .. ივნისს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ა. ყ. კ-ა 1964 წლის .. ოქტომბერს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ი. ო. კ-ის ქალიშვილია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ა. კ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 სექტემბერს, ირკვევა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა როგორც განმცხადებლის დედა, ისე მამა, ასევე დასტურდება მოცემული შუამდგომლობის განხილვაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და მხარის იურიდიული ინტერესი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 მაისის განჩინებით ა. კ-ის შუამდგომლობა მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ ა. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილებით ა. ა. ყ. კ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ 1990 წლის .. ივნისს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ა. ყ. კ-ა 1964 წლის .. ოქტომბერს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ი. ო. კ-ის ქალიშვილია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა ა. კ-მა და მოითხოვა დასახელებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების დამონმებული ასლით დასტურდება, რომ ის კანონიერ ძალაში შევიდა 2008 წლის 1 სექტემბერს, ირკვევა, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებდა როგორც განმცხადებლის დედა, ისე მამა, ასევე დასტურდება მოცემული შუამდგომლობის განხილვაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია და მხარის იურიდიული ინტერესი.

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. ამავე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, ზემოხსენებულ ნორმაში მითითებული დამაბრკოლებელი გარემოებები არ არსებობს.

რაც შეეხება მითითებული გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსრულებას, პალატა ასევე მიიჩნევს, რომ არც ამ ნაწილში არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, ვინაიდან, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას, ამავე კანონის 71-ე მუხლით კი დადგენილია წინაპირობები, თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე აღსასრულებლად მიქცევა. საკასაციო პალატა საქმის მასალების ანალიზის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში კანონის ზემოხსენებული დანაწესები დაცულია. ამდენად, რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ უნდა იქნას ცნობილი და მიექცეს აღსასრულებლად საქართველოს ტერიტორიაზე.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე, 70-ე, 71-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. კ-ის შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების შესახებ დაკმაყოფილდეს.
2. ცნობილ იქნას საქართველოს ტერიტორიაზე და მიექცეს აღსასრულებლად რუსეთის ფედერაციის ქ.კრასნოიარსკის ლენინის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ა. ყ. კ-ს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, დადგინდა ფაქტი, რომ 1990 წლის .. ივნისს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ა. ყ. კ-ა 1964 წლის 21 ოქტომბერს საქართველოში, დმანისის რაიონის სოფელ კ-ში დაბადებული ა. ი. ო. კ-ის ქალიშვილია.
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.